ქართ. სოციალისტ-ფედერალისტთა საერთ. პარტიის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„საქართველოს" რედაქციის გამოცემა № 4.

როგორ უნდა გადაწყდეს ჩვენში : : :

329.24(47.922)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორ უნდა გადაწყდეს ჩვენში მიწის მფლობელობის საკითხი

გლეხთა სოციალურ მდგომარეობის შესახებ ბევრი რამ დაიწერა. ამ ნაწერებში ბურჟუაზულ მიმართულების ნაწერებს განსაზღვრული ბეჭედი აზის. ისინი ყოველთვის სიმპატიას უცხადებენ მესაკუთრე-გლეხებს, ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ სახელმწიფო ვალდებულია მათ ყოველთვის დახმარება აღმოუჩინოს, რადგან მესაკუთრე-გლეხობა (განსაკუთრებით სამუალო შემლების გლეხობა) სახელმწიფოში კონსერვატულ ელემენტს შეადგენს და არსებულ წესწყობილების მცველად უნდა ჩაითვალოს. მათის აზრით, გლეხობა ყოველთვის იყო, არის და იქმნება სოციალიზმის წინააღმდეგი, იგი ეტრფიალება კერძო საკუთრებას, ცდილობს მის გაფართოვებას და ხელში შერჩენას და კომუნისტურ წყობილების დამყარებისა ყოველთვის შეურიგებელი მტერი იქმნებაო.

რაიც შეეხება გლეხობის ფანატიკურ « ტრფიალებას » კერძო საკუთრებისადმი, აქ ბურჟუაზულ ეკონომისტების ნათქვამს ზოგიერთმა სოციალისტმა კვერი დაუკრა და აცხადებენ, გლეხს « ანტიკოლექტივისტური კეფა » აქვს და ამიტომ დროის დაკარგვაა მათს შორის სოციალისტურ პროპაგანდის გაწევაო.

მაგრამ ამ აზრს ცხოვრების და თვით გლეხთა მოქმედების ზედგავლენის გამო გასავალი დაეკარგა და ამ ჟამად არ მოიბოვება არც ერთი სოციალისტური მიმართულება, რომელსაც არ ჰქონდეს გათვალისწინებული გლეხთა მდგომარეობა და რომელსაც

49 ფ. (20x19) 90

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ სურდეს მისი მოძმრობა და ჩათრევა სოციალისტურ მოძრაობის ფარგალში.

ხოლო ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ. მიქცევით კი მიაქციეს ყურადღება გლეხთა მდგომარეობას სოციალისტურ პარტიებმა, მაგრამ ერთ აზრისანი არ არიან იმის შესახებ, თუ რა ადგილი უნდა ეჭიროს გლეხობას სოციალურ რევოლუციის ხანაში, შეადგენს თუ არა გლეხობა რევოლუციის მმოძრავ ძალას როგორც გ ლ ე ხ ო ბ ა, თუ როგორც მოძავალი პროლეტარიატი? განსაკუთრებული მეთოდი და ტაქტიკაა საჭირო გლეხობაში პროპაგანდის გაწევისათვის, თუ სოფელშიაც პროლეტარიატისებური ტაქტიკა და მეთოდი უნდა იყოს შემოღებული? ყველა ამ და ბევრი სხვა ამგვარ საკითხის შესახებ სოციალისტურ ლიტერატურაში ორი მიმართულება, ორი შეხედულება არსებობს.

ერთნი ამტკიცებენ, რომ გლეხობას ეკონომიურ ევოლუციის ზედგავლენით (კაპიტალის კონცენტრაცია) დღეს თუ ხვალ კერძო საკუთრება დაეკარგება; იგი ბოგანო გლეხად გადიქცევა და როგორც მოძავალ პროლეტარის მას უნდა ჰქონდეს შეთვისებული პროლეტარიატის აზროვნება სოციალურ რევოლუციის შესახებ. სოციალისტურ პარტიას ამ სახით გლეხი არ უნდა აინტერესებდეს, როგორც გლეხი, არამედ როგორც მოძავალი პროლეტარიატი.

მეორენი ამ აზრს არ ეთანხმებიან. გლეხს არ მოელის გაპროლეტარიატება ამ ახლო მოძავალში განსაკუთრებით. შეიძლება ერთი ნაწილი გაპროლეტარიატდეს (და მართლაც ასე ხდება), შეიძლება წვრილ მესაკუთრის ეკონომიური მდგომარეობა სანუგეშო არ იყოს, მხოლოდ დიდი უმრავლესობა მიწის მოშუშავეთა თვით სოციალურ რევოლუციის მოხვლამდე მიწაზევე დარჩება და ამიტომ მათთან უნდა მივიდეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგორც გლეხებთან და ავუხსნათ რა საშუალებით შეუძლიანთ შესცვალონ არსებული მიწის-მფლობელობის ფორმა. გლეხს უნდა ვუჩვენოთ იარაღი, რომლის საშუალებითაც მიწის საზოგადო კუთვნილებად შეიძლება გადაქცევა და ამრიგად სოციალურ რევოლუციის მოახლოვებამდე ხოფელშიაც ნიადაგს მოამზადებენ.

ჩვენ რაღა გზას ვადგევართ? რაღას ვურჩევთ გლეხობას, რა საშუალებას და იარაღს ვაძლევთ ხელში მონობის ჯაჭვთა დასამსხვრევად? გლეხის დაქვეითება უკიდურესს წერტილამდე მივიდა. მოიჯარადრეა იგი, დროებით ვალდებული, ხიზანი თუ წვრილი მესაკუთრე ყოველისმხრიდამ არის იგი შებოჭილი და დამონებული. ხოლო იგია მწარმოებელი, იგია « სიმდიდრის » შემქმნელი. და ამიტომ რიგორიც უნდა იყოს « ეკონომიურ პროცესის » ევოლუცია, მისი მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს ძირიან-ფესვიანად, მას ეხლავე უნდა მიეცეს ნუგეში სოციალურ უსამართლობის გასწორებისა და ბრწყინვალე მომავალის მოახლოვებისა. საჭიროა მხოლოდ, ამ მომავალის დაბყრობის დროს ნამდვილი გზა და იარაღი ამოარჩიოს, რათა ძალა და ენერგია არ დაქსაქსოს მიხვეულ-მოხვეულ ბილიკებში და რათა შესვენების ეტაპებში საბოლოვო მისაღწევი მიზანი არ დაავიწყდეს.

ყველა ამაზე გვსურს ჩამოვაგდოთ საუბარი ამ წიგნაკში.

* * *

კაპიტალისტურმა ევოლუციამ თავისი დაღი სოფელსაც დაასვა. ამ ევოლუციის გავლენით მეტად გართულდა მიწისმფლობელობის ურთიერთობა. გართულებასთან ერთად საკუთრების მფლობელობა ფრიად მმოძრავი შეიქმნა — ხან ერთ ხელში გადა-

დის, ხან მეორეში. რომ დააკვირდეთ სოფელს, ჩვენებურს თუ ევროპისას, იქ დღეს ორ კვლასს კი ადარ ჰპოვებთ, არამედ მეტსაც.

შეძლებულობის მხრივ სათავეში დიდ მამულის პატრონი სდგას. მართალია დიდ მამულის პატრონი ჩვენში ისე არ არის შეიარაღებული ცოდნითა და კაპიტალით, როგორც დასავლეთ ევროპაში. ჩვენში ძალიან ცოტაა « სამაგალითო ფერმები », ინტენსიური ხასიათის მეურნეობა თითქმის არ არსებობს, ქიმიურ სასუქს ჯერ არ ხმარობენ და სამკალი, სალეწი და სხვა ამგვარი მაშინები, რომელნიც ას კაცის სამუშაოს ერთ დღეში ასრულებენ, აქ-იქ თუ მოიპოვებიან. ამიტომ დიდი მემამულე ისეთ ძლიერ კონკურენციას ვერ უწევს წვრილ ანტრეპრიზებს, როგორც დაწინაურებულ ქვეყნებში. ხოლო, სამაგიეროდ, მისს ძლიერებას შეადგენს მამულის სიდიდე. ტყე, სახნავი სათიბი მიწა, საძოვარი თუ იალადი, — ყოველივე უხვად აქვს. და ამიტომ გლეხობის ის ნაწილი, რომელსაც ტყეც, სახნავიც, საძოვარიც ესაჭიროება, რადგან თავისი ან არ აქვს, ან რაც აქვს არ ჰყოფნის, დიდ მემამულის პირდაპირ დამოკიდებულებაშია.

დიდ მემამულეს თანაზდევს საშუალო შეძლების მემამულე. ამ რიცხვში ქართველ თავად-აზნაურობის უმრავლესობაა, ხოლო ამ მემამულეთა ჯგუფს ბევრი არა-აზნაურიც ეკუთვნის. გლეხებიც და ვაჭრებიც არიან საშუალო შეძლების მემამულენი.

ამ ორ კატეგორიის მემამულეთა იქით, იწყება სოფლის ღარიბ-ღატაკთა სამეფო: დროებით ვალდებული გლეხები, მოჯარადრენი, წვრილი მესაკუთრენი, მოჯამაგირენი და სხვ. ესენი თავიანთის შრომით ირჩენენ თავს, ხოლო ყველანი დიდ და საშუალო მემამულეთა დამოკიდებულებაში არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი ამგვარ ელემენტებს ვბულობთ დღეს ჩვენს სოფელში. როგორც ვხედავთ. განხეთქილების ნიადაგი მარტო თავად-აზნაურთა და გლეხთა შორის არ ... მოჩენილა, იგივე განხეთქილება სხვა და სხვა შემლებულობის გლეხთა შორისაც არსებობს.

ამგვარ დიფერენციას, როგორც ვსთქვით, არამც თუ მარტო ჩვენში ვბოვებთ, იგი რუსეთსა და დასავლეთ ევროპამიაც არსებობს. ამიტომაც არის სხვა ქვეყნების მიწისმფლობელობის ურთიერთობის შესწავლას ჩვენთვისაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

სხვა და სხვა შემლების სოფლის ელენტთა შორის, რასაკვირველია, თანხმობა არ არსებობს. წვრილფეხა გლეხი, მოიჯარადრეა იგი თუ მესაკუთრე, თავის საჭიროებათ ვერ აუდის. გაჭირვება აიძულებს ხან მევახშეს მიჰმართოს, ხან დიდ მემამულეს. ფულიც სჭირდება, მიწა-საძოვარიც. დროებით ვალდებული და ბოგანო გლეხი ხომ მთელ თავის სიცოცხლეს სხვის ჯიბისგას ქელებას ანდომებს. და ამ ოთხ კატეგორიის გლეხები ჩვენში გლეხობის დიდ უმრავლესობას შეადგენენ.

ყოველივე მათის შრომით კეთდება, მათის შრომით არის მამაპაპიდანვე სახნავად მომზადებული მიწა, ქვებისგან გასუფთავებული; მათ გასჭრეს გზები, ჩაყარეს ვაზები, ამათ ხედავთ ყანებსა, მინდვრებსა და ტყეში, სადაც ხვნენ, სთესვენ, ტყეს და ჭიგოს სჭრიან. ერთის სიტყვით, ესენი არიან მწარმოებელნი, მუშანი, სიმდიდრის შემქმნელნი. ხოლო შრომის ჯილდოდ მათ შიმშილობა და გაჭირვება ხვდათ წილად. მთელ სიცოცხლეს წელებზე ფეხს იდგამენ, ცდილობენ ცოლ-შვილი გამოჰკვებონ, ირჯებიან და სიცოცხლეს ჰლევენ მემამულის, მევახშის და სახელმწიფოს საკეთილდღეოდ და ამ « სამების » მიერ ისე არიან შებო-

ჭვილნი, რომ ადამიანის სახეც დაჰკარგვიათ. ახლა გვიბრძანეთ, განა მწარე დაცინვა არ არის, რომელსაც ამ ტანჯულთ, ამ დამონებულ მიწის მუშაკთ, ამ ღარიბ-ღატაკთ ზოგიერთი « სოციალისტი » ბურჟუაზიის ნაწილად სთვლიან! მათ ხელში საწარმოვო იარაღია — მიწა, მესაკუთრენი არიან, მაშასადამე ბურჟუები არიანო! ხოლო დოქტრინერებმა ვერ გაიგეს, რომ ბურჟუა მხოლოდ ის არის, ვინც სხვისის შრომით სცხოვრობს, ვინც სხვას სჩაგარავს და არა ის, ვინც თავის მარჯვენით ირჩენს თავს, თავის შრომას და ადამიანობას სხვას აძლევს. ამნაირი შრომის წარმომადგენელი გლეხი, წვრილი მესაკუთრეც რომ იყოს, არამც და არამც ბურჟუად არ ჩაითვლება და ამიტომ სოციალისტმა აგრეთვე უნდა დაიცვას მისი ინტერესები, როგორც იგი იცავს პროლეტარიატის ინტერესებს.

მაშასადამე, სოფელში ჩვენ მხოლოდ გლეხობის ერთ ნაწილს ვუდგებით გვერდში. ესენი არიან წვრილი მესაკუთრენი, მოიჯარადრენი, ხიზნები დროებით ვალდებული გლეხები და მოჯამაგირენი. ეს ის ელემენტია, რომელიც სოფლის მშრომელ გლეხობას შეადგენს, იმ გლეხობას, რომელიც ჰქმნის ყოველსავე იმას, რაც ადამიანისათვის არის აუცილებელად საჭირო, ეს « სიმდიდრის » შემქმნელი გლეხობაა, იმ სიმდიდრისა, რომლის განაწილებაშიაც მას თითქმის არავითარი წილი ეძევს. სოფლის სხვა ელემენტებთან ჩვენ არაფერი გვაქვს საერთო. საშუალო შეძლების მემამულეს (გლეხს თუ აზნაურს) მოჯამაგირენი ჰყავს. ამ მოჯამაგირეთა შრომის ნაყოფით არის იგი უზრუნველყოფილი. მევ-ხშე... იმას ეყურებს, სად არის გაჭირვება, რომ იქ გააბას თავისი ქსელი. მევახშის კეთილდღეობა აგებულია გლეხობის სიღარიბე-გაჭირვებაზე. დიდი მემამულე კიდევ, რომელიც

ხშირად არცკი სცხოვრობს სოფელში და მოუფრავს სამუალებით აგროვებს დალას და რენტას ! მის ხელშია მიწა, ტყე, ვენახი, საძოვარი და იალადი. მის ხელშია ის, რითაც სცოცხლობს გლეხი, რაც მაგრე ესაჭიროვება მას. მის ხელშია საწარმოვო იარადი. და სანამ ეს ასე იქმნება, მშრომელი გლეხობა, ვისაც ესაჭიროვება საწარმოვო იარადი (მიწა გინა ტყე და სხვ.) ამ მემამულის ყმად დარჩება.

მაშასადამე, სამუალო შეძლების მესაკუთრის, მევახშის და დიდ მემამულის ინტერესები მშრომელ გლეხის ინტერესებს ეწინააღმდეგებიან. მათ შორის უთანხმოება იყო წინად. იგი უთანხმოება ამ ჟამად ამკარა შეტაკებად და ბრძოლად გადაიქცა. და ამ ბრძოლაში ჩვენ მხარს და ხელს ვაძლევთ წვრილ-ფეხა გლეხობას.

* *
*

ყველა კარგი, გვეტყვიან, წვრილ მესაკუთრეთა და გაჭირვებულ გლეხთა მხარი გიჭირავსთ. ხოლო რანაირად უნდა დაეხმაროთ ? ეცდებით გააუმჯობესოთ მათი მდგომარეობა, როგორც კერძო მესაკუთრეებისა. თუ სხვაგვარად იზრუნებთ მათს სასარგებლოდ ? თუ კერძო საკუთრების განმტკიცებას შეალევთ თქვენს ძალდონეს « მესაკუთრეობის ჟინის » განვითარებას შეუწყობთ ხელს, სოციალიზმის წინააღმდეგ იმოქმედებთ, რადგან სოციალიზმი სწორედ უარყოფაა კერძო საკუთრებისა. და თუ სხვანაირად იმოქმედებთ, გვითხარით, რა სამუალებით შეუძლია გლეხს მიწაზედაც დარჩეს, ყველა თავისი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს და მევახშე და მემამულეც ალაგმოსო ? კითხვა საფუძვლიანია, ჩვენც უნდა საფუძვლიანი პასუხი გავსცეთ.

ბევრნი ლაპარაკობენ ეკონომიურ ევოლუციის შესახებ. წვრილი საკუთრება კონკურენციის ძალით

იღუბებაო, ამბობენ ერთნი. არა, იგი არც [illegible] არც განსაცდელშია და ბრწყინვალე მომავალ[illegible] ლისაო, უგებენ მეორენი.

ხოლო ჩვენთვის ის კი არაა საინტერესო შორეულ მომავალში, რა ბედი მოელის წვრილ საკუთრებას. ჩვენი ყურადღება მიმართულია შემდეგ საგანზე: არის თუ არა წვრილ საკუთრების გაუქმება პირობა მიწის სოციალიზაციის დამყარებისათვის? ან კიდევ, შესაძლებელია თუ არა სოციალიზაციის განხორციელება წვრილ საკუთრების გაუქმებამდე?

ყოველი ჩვენი სჯა-ბაასი წვრილ საკუთრების შესახებ ამ მთავარ აზრზეა დამყარებული. აქ არის განსხვავება ჩვენსა და ბურჟუაზულ მწერალთა შორის, რომელნიც სულ სხვა განზრახვით ესარჩლებიან წვრილ საკუთრებას და რომელნიც ნიშნს უგებენ ზოგიერთ სოციალისტებს და ეუბნებიან, სოციალიზმის განხორციელებას კონცენტრაციის კანონზე აშენებდითო, ეს კანონი კი ცხოვრებაში არ მართლდება, მაშასადამე, დიდხანს მოგიხდებათ ლოდინი, სანამ თქვენს წადილს მიაღწევდეთო. « თუ წარმოების კონცენტრაციას იმ ფასს და მნიშვნელობას აძლევენ, ამბობს ცნობილი ეკონომისტი ბურგეინი, ვითომ იგი უნდა იყოს კოლექტივიზმის მომასწავებელი, უნდა ალვიარეთ, რომ ასეთ ხასიათის ევოლუციას ჯერ კიდევ ბევრი გზა აქვს გასავლელი » (1).

სოციალისტებმა გაიგეს, რა ხასიათის საბუთებს აძლევენ თავიანთ მებრძოლებს, ბურჟუაზულ მწერლებს, და მარქსისტულ დოგმას ასე აშკარად ალარ მისდევენ.

მართლაც, დღეს ეგრედ წოდებულ « კატასტროფის ჰიპოტეზას » დიდი გასავალი ალარ აქვს. ეკო-

(1) Les systèmes socialistes, par Maurice Bonguin, p. 333.

ნოემიური პროცესი ისეთის ჩქარის ნაბიჯით არ მიმდინარეობს სწრაფვის კონცენტრაციისაკენ, როგორც მარქსმა და ენგელსმა იწინასწარმეტყველეს. ბურჟუაზულ წესწყობილების დამხობა ამ ევოლუციის მსვლელობაზე არ ყოფილა დამოკიდებული. დღეს საქმე იქამდის მივიდა, რომ კაუცკი იმასაც კი აღიარებს, რომ კერძო და წვრილი საკუთრება არამც თუ სოციალურ რევოლუციამდე არ გაუქმდება, არამედ ამ რევოლუციის შემდეგაც იარსებებსო. აი იმისი სიტყვები: სოციალურ რევოლუციის შემდეგ « დარჩებიან წვრილი მესაკუთრე გლეხები, რომელნიც ძველებურად ოჯახის წევრთა შემწეობით იმუშავებენ თავიანთ საკუთრებაზეო » (1).

ვანდერველდიც ეჭვს აცხადებს იმის შესახებ, ვითომ გლეხთა პროლეტარიზაცია აუცილებელი პირობა ყოფილიყოს მათის საბოლოვო განთავისუფლებისა. « ჩვენ არა გვჯერა, ამბობს ვანდერველდი, რომ « კოლექტივისტურ (საზოგადო) საკუთრების დამყა- « რებისათვის მესაკუთრე გლეხებმა ფატალისტურად « და აუცილებლივ ძირს, პროლეტარიატის მდგომა- « რეობამდე უნდა ჩამოვიდნენ და მერე კაპიტალის- « ტურ ტვირთმძიმე ექსპლუატაციის გზას დაადგნენ. « გლეხებმა შეიძლება სხვა გზითაც განახორციელონ « კოლექტიურ მფლობელობის ფორმა. და თავიდამ « აიცილონ პროლეტარიზაციის ფაზა, რომელიც ემუ- « ქრებათ. მათ შეუძლიანთ ძალ-ღონე შეაერთონ და « თავისუფალი კოოპერაცია წამოუყენონ წინ დიდ « მამულების ძალდატანებითი კოოპერაციას... ეჭვს « გარეშეა, დასძენს ვანდერველდი, რომ აგერ რამ- « დენიმე წლის განმავლობაში იმგვარი რევოლუცია « ხდება ჩვენს სოფლებში, რომელიც კერძო ანტრე-

(1) Соціальная Революція, русск. пер. стр. 142.

ეროვნული ბიბლიოთეკა

« ბრიზების ადგილს საზოგადო ხასიათის წარმოებს
« დააფუძნებსო » (1).

ასე რომ, თვით მარქსისტების მოწმობითაც კი, პროლეტარიზაცია არ ყოფილა ის საფეხური, რომელიც გლეხობამ აუცილებლად უნდა გაიაროს. თავის აგრარულ გამოკვლევაში იგივე კაუცკი აღიარებს: « არ უნდა ვიფიქროთ, რომ სოფლის ჩვრილ საკუთრებას თანამედროვე საზოგადოებაში გაქრობა « მოელოდეს და რომ იგი დაუთმობს ადგილს დიდ « საკუთრებას. ჩვენ ვნახეთ, რომ სადაც კი მოხდა « სოფელში მიწის დიდი კონცენტრაცია (ერთ ხელში « შეგროვება), იქ ოავის მხრივ დიდი საკუთრება იწ- « ყებს დაჩვრილმანებას »'ო (2). ან კიდევ სხვაგან: « აქა იქ ჩვრილმა ანტრეპრიზამ რიცხვით იმატა. და « სტატისტიკას რომ ანგარიში გავუწიოთ, შეიძლება « ვიფიქროთ, რომ ჩვრილი საკუთრება განსაკუთრე- « ბულ განვითარების გზას დაადგა »'ო (3). ყველა ამითი, რასაკვირველია, იმ აზრის დამტკიცება არ გვინდა, ვითომ ბურჟუაზულ ხანაში სოფელში პროლეტარიზაცია არ ხდებოდეს. არა, ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ ამ პროლეტარიზაციას თავისი საზღვარი აქვს.

მაშ ჩვრილ მესაკუთრეთ ორთამეა ანგარიშით არც პროლეტარიზაცია მოელისთ, და ჩვრილ საკუთრების გაუქმებაც სოციალიზაციის განხორციელებისათვის პირობად არ ჩაითვლება. ხოლო ყოველივე ეს იმას არ ნიშნავს, რასაკვირველია, ვითომ ჩვრილი მესაკუთრეს მდგომარეობა სანატრელი იქმნება მომავალში. მისი გაჭირვება გაორკეცდება კიდევაც, თუ მან მიწის

(1) Essais sur la Question Agraire en Belgique — par E. Vandervelde. Page 87.

(2) Kautsky. — Question Agraire, გვ. 248.

(3) ibid გვ. 210.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მფლობელობის ფორმა არ შესცვალა და სწორედ ეს გაჭირვება აიძულებს გასაზოგადოებრივებულ-ბინის მფლობელობას შეაფაროს თავისი თავი.

ჩვენ ვნახეთ, რომ მშრომელი გლეხობა დღეს ბატონყმობის დროიდამ დარჩენილ ნამთებისაგანაც არ არის განთავისუფლებული, ვნახეთ, რომ გლეხი მევახშისა და მემამულის ყმად ითვლება. გარდა ამისა, ისიცა ვნახეთ, რომ ჩვრილ მესაკუთრე და მოჯარადრე გლეხი, მიუხედავად იმისა, რომ იგი იურიდულად ყმობისაგან განთავისუფლდა, ფაქტიურად უფრო ყმას მიაგავს, ვიდრე თავისუფალ ადამიანს.

და აი სოციალისტურ პარტიის წინაშე ბრობლემაა წამოყენებული: რაგვარი უნდა იყოს გლეხთა სასარგებლოდ მოქმედება? ჯერ ძველ ნამთებისაგან უნდა განთავისუფლდეს გლეხი, ჯერ უნდა მომზადდეს სოფელში ბურჟუაზული ნიადაგი კლასთა ბრძოლის გამწვავებისათვის, თუ ეხლავე უნდა იყოს მიდებული ზომები ბატონყმობის ნამთების ამოგდებისათვისაც და კაპიტალისტურ დამონების მოსპობისათვისაც. ახლავე უნდა მიეცეს გლეხს საწარმოვო იარაღი — მიწა, ტყე და მიწაში მყოფი ყოველი სიმდიდრე — მადნეულობა, თუ დროებით პატარ-პატარა გაუმჯობესებით დაკმაყოფილდეს იგი!

რათა ამ საგანს ჯეროვანი სინათლე მოეფინოს, შევჩერდეთ პატარა ხანს და ვნახოთ, რას ჰფიქრობენ ამის შესახებ რუსეთის ორი მომქმედი პარტია — სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-რევოლუციონერები.

* * *

რუსეთის ს.-დემოკრატიის მახლობელ მოქმედების მიზანი მიწის მფლობელობის ფარგალში ორია. ერთი მიზანია გაუქმება ბატონყმობის დროიდან დარჩენილ წესებისა. მეორე — მომზადება სოფელში

ბურჟუაზულ ნიადაგისა, « კლასთა ბრძოლის თავისუფალ განვითარებისათვის » ბატონყმობა — ყველა ყველა გლეხებს აწუხებს, ამიტომ ყველა გლეხები ერთად, ღარიბები და მდიდრები, უნდა შეერთიანენ და იბრძოლონ ამ ჩესების გაუქმებისათვისაც. ხოლო ვალაბარაკოთ თვით სოციალ-დემოკრატები. ლენინი ამაობს :

« რუსეთში გლეხები, როგორც ღარიბები ისე მდი-
« დრები, ჯერ კიდევ ძველებურად ყმებად იმყოფე-
« ბიან... ყველანი ხშირად ძველებურად მუშაობენ
« მებატონის მამულში, « მოჭრილ მიწის », საძოვ-
« რის, ან წყლის ხმარების უფლებისათვის. ყველა
« გლეხს ჰსურს გაინთავისუფლოს თავი ამ ახალ
« ბატონყმობისაგან. ყველას უფლებაში გათანასწო-
« რება სწადია, ყველას სძულს მებატონე... ღარიბი
« გლეხი ყველა ამისგან უფრო უტანჯება, ვიდრე
« მდიდარი. მდიდარი გლეხი ხშირად თავს ფულით
« იხსნის, ხოლო მდიდარი გლეხიც უმეტესს
« შემთხვევაში დაჩაგრულია მებატონისაგან...
« (კურსივი ჩვენია) მაშასადამე სოფლის ღარიბებმა
« მდიდრებთან ერთად უნდა იბრძოლონ უკანონო-
« ბის, « ბარშჩინის » და მებატონის მამულში ყო-
« ველგვარ მუშაობის წინააღმდეგ » (1).

ამ სიტყვების ავტორს აქ უეცრად მოაგონდა, რომ ღარიბი გლეხი მთელ ბურჟუაზიის მიერ იჩაგრება — იმ ბურჟუაზიისა, რომლის წრეში დღეს მდიდარი გლეხიც არის წამოსკუპული — მოაგონდა ყოველივე ეს ბ. ლენინს და ზემოდ აღნიშნულ სიტყვების შემდეგ ამგვარად განაგრძობს თავისს საუბარს :

« სოფლის ღარიბ-ღატაკნი ორნაირ ბრძოლას
« უნდა ეწეოდნენ. ერთის მხრივ მუშებთან ერთად

(1) Н. Ленинъ. Къ деревенской бѣднотѣ (объясн. для крестьянъ, чего хотятъ соц.-демократы). გვ. 51.

« მთელ ბურჟუაზიის წინააღმდეგ (კურს. ავტო-
« რისაა) უნდა გაილაშქრონ, მეორეს მხრივ, უნდა
« იბრძოლონ ყველა გლეხებთან ერთად (კურსივი
« ჩვენია) სოფლის მოხელეთა და მებატონეთა წინა-
« აღმდეგ » (იქვე, გვ. 56 — 57).

ამრიგად, ლენინის აზრით ღარიბი და მდიდარი გლეხი ერთმანერთს უნდა დაუმეგობრდნენ. მართალია, ეს მეგობრობა ცხვრისა და მგლის მეოგობრობას მიემსგავსება. ამიტომ ხიფათის ასაცილებლად ლენინი ურჩევს ღარიბ გლეხს, ნუ დაგავიწყდება, რომ ორსავე ხელით ორ ფრონტზე უნდა იბრძოლო. მდიდარ გლეხს ხან მოეფერე, ხან კიდევ კისერში წაჰკარი. უფრო კი მოეფერე, რადგან დაგეხმარება ბატონყმობის ნაშთთა გაუქმების საქმეში და ამას ხომ დღევანდელ პირობებში უპირველესი მნიშვნელობა აქვს. ეს « პირველი ნაბიჯი » უნდა იყოს, ხოლო მთელ ბურჟუაზიასთან ბრძოლა კი « უკანასკნელი ნაბიჯი » იქმნებაო. « ვინც ურევს ერთმა-
« ნერთში პირველ და უკანასკნელ ნაბიჯებს, ის ამ
« ბრძოლას ხელს უშლის, ის, შეიძლება შეუგნებლივ,
« სოფლის ღარიბ-ღატაკთ თვალებს უხვევს »'ო, — დასძენს ბ. ლენინი.

ამრიგად, სოციალ-დემოკრატიას ბატონყმობის დროინდელ წესების მოსპობით ჰსურს ბურჟუაზულ ხანის შექმნა და ბურჟუაზული ხანა საჭიროა, მისის აზრით, კლასთა ბრძოლის განვითარებისათვის. ხოლო კლასთა ბრძოლის დროს გლეხს (წვრილ მესაკუთრეს) მიწა დაეკარგება, რადგან წვრილი მამული დიდ მამულს კონკურენციას ვერ გაუწევს. მამულის დაკარგვით გლეხი გაბროლეტარიატდება და ამრიგად პროლეტარიატთა რაზმი თან-და-თან გაიზრდება. ხოლო პროლეტარიატის გაზრდა და მასში თვითშემეცნების განვითარება სოციალურ რევოლუციის მომა-

სწავებელიაო. აი რა გზით ჰსურს სიარულ[illegible] დემოკრატიას სოციალურ რევოლუციამდე. [illegible] სიტყვაში ჟულ გედმა სთქვა: « ჩვენ ეკონომიურ « კონცენტრაციის რიგს უნდა თანვსდევდეთ და არ « უნდა ვცვლიდეთ მას (რიგს). ამიტომ ფინანსიურ « და ინდუსტრიალურ საკუთრებას შევეხებით ჯერ « და მხოლოდ შემდეგ მიწის საკუთრებას »'ო ერთის სიტყვით ს.-დემოკრატების თვალში (განსაკუთრებით რუსეთში) ვანდერველდის თქმისა არ იყოს « მიწის « სოციალიზაცია გრძელ ევოლუციის დაბოლოვება იქმნება »'ო. (იხ. Essais გვ. 20).

სულ სხვა ნიადაგზე დგანან სოციალისტ-რევოლუციონერები. « ს.-რევოლუციონერები იწვევენ მშრო- « მელ გლეხობას თვითმპყრობელობის დასამხობად, « — გვეუბნება ა. რუდინი (1), — და ამასთან ცდი- « ლობენ, რომ ამ ხასიათის პოლიტიკურ რევოლუ- « ციას თან მოჰყვეს მარტო ბატონყმურ ნამთების « გაუქმება კი არა, არამედ სხვა რამეც. მათ ჰსურსთ « ბურჟუაზულ ურთიერთობის შერყევაც და ახალ « სოციალ-ეკონომიურ წყობილების სამირკვლის ჩა- « ყრა... ამ განზრახვით თავიანთ მინიმუმ-პროგრა- « მაში მიწის სოციალიზაციის საჭიროებას აღიარე- « ბენ... მიწის სოციალიზაცია, — განმარტებს რუ- « დინი, — არის საფუძველი თანამშრომელობის « განვითარებისა (сотрудничество) და საზოგადოებრივ « წარმოების ორგანიზაციისა. მაქსიმალური მოთხოვ- « ნაა არა სოციალისტურ საზოგადოების ფარგალში, « იგი მოთხოვნა რევოლუციონურია და განხორციელ- « დება კიდევაც ჩვენში »'ო (იქვე გვ. 41).

ამ მთავარ მოთხოვნის შემდეგ, სოციალისტ-რევოლუციონერები ასახელებენ « კოოპერაციას », რო-

(1) А. Рудинъ. — Что говорятъ соц.-дем. о « Деревенской Бѣднотѣ ». გვ 40.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც უნდა იყოს შემოტანილი გლეხობაში. კოოპერაცია სოლიდარობის გრძნობასთან ერთად გლეხებს თან-და-თან გასაზოგადოებრივებულ მეურნეობას მიაჩვევსო.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, სოციალისტ-რევოლუციონერები იქიდან იწყობენ, სადაც სოციალ-დემოკრატები ათავებენ. ამ ორ მიმართულებათა შორის ჩვენ ვირჩევთ იმას, რომელიც მიწის სოციალიზაციის საჭიროებას აღიარებს.

* * *

იყო დრო, ამ ორის წლის წინად, როდესაც ჩვენც სოციალ-დემოკრატისებურ შეცდომას ჩავდიოდით. « საქართველოს » პირველ ნომრებში ჩვენც დავისახეთ მიზნად ბატონყმობის ნაშთთა მოსპობა და ჩვენს თვალშიაც სოციალისტურ იდეალის განხორციელება შორეულ მომავალში უნდა მომხდარიყო. ამ შეცდომას ჩვენ ხმამაღლა ვაღვიარებთ. ამ შეცდომაზე ქართველმა ხალხმა მიგვითითა. ქართველმა გლეხმა გვითხრა, რომ მას მარტო დ ა ლ ი ს მოსპობა კი არ სურს, არამედ სწადია ძირიანად შესცვალოს მიწის მფლობელობის ფორმა, სწადია მიწის გასაზოგადოებრივება. დიად, ჩვენი მასწავლებელი ხალხი გახდა. სალამი მას !

რუსეთის სოციალ-დემოკრატია გლეხობას ეუბნება : « სასამართლოს უნდა მიეცეს უფლება საიჯარო « გადამეტებულად აწეული ფასები დასწიოს და აგრე- « თვე სასამართლომ არ უნდა შეიწყნაროს იმგვარი « ხელშეკრულობა, რომელსაც მევახშეობის ხასიათი « აქვს » (იხ. აგრ. პრ. რ. ს.-დ. მუხ. 5). ჩვენ კი გვგონია და ხალხიც ამაში დაგვეთანხმება, რომ ამგვარ სასამართლოს დაწესება მეტი საქმეა, რადგან მოიჯარადრეობა და მოვახშეობა სრულიად უნდა მოისპოს. ვისაც იჯარით აქვს აღებული მიწა, საიჯაროს

სრულებით ნუდარ გადაიხდის და მევახშესაც ფულს ნუ დაუბრუნებს. ამრიგად განსაკუთრებულ სახმართოლოს დაარსება საჭიროდ აღარ იქმნება.

სოციალ-დემოკრატები განაგრძობენ: « საკლებად « კომიტეტები უნდა დაარსდნენ. ამ კომიტეტების « მოვალეობა იქმნება, დაუბრუნონ ნაყმევებს ის მიწა, « რომელიც განთავისუფლების დროს გლეხების ნა- « დელებს ჩამოაჭრეს მებატონეთა სასარგებლოდ. « ამ მიწის დაბრუნება ან ექსპროპრიაციის ძალით « უნდა მოხდეს, ან კიდევ, იმ შემთხვევაში, თუ « ერთი პატრონის ხელიდამ მეორესთან გადადიოდა, « სახელმწიფომ უნდა გამოისყიდოს იგი სხვილ მე- « მამულეთა ხარჯითო » (იქვე, მუხ. 4). არ გვინდა ამგვარი ხასიათის კომიტეტები, — ვამბობთ ჩვენ, — სად უნდა ვჩხრიკოთ ახლა, ვის რამდენი მიწა ჩაჭრეს ორმოცის წლის წინად, ან კიდევ. სად უნდა ვეძებოთ მაწის პატრონები, რომელ ხელში გადადიოდა ეს მიწა. ჩვენი მოთხოვნა უფრო მარტივია. მოჭრილი მიწის ნაგლეჯი გლეხს არ გააბედნიერებს. ჩვენ გვსურს, რომ მთელი მიწა იმისი იყოს, ვინც თავისის მარჯვენით ამუშავებს მას, გვსურს, რომ მიწა საზოგადო კუთვნილებად გახდეს'თქო.

კეთილი. ჩვენც გეთანხმებით, ჩვენი საბოლოო მიზანიც ამისთანაა, — გვიგებენ სოც.-დემოკრატები. ხოლო რასაც ასახელებთ, ეგ ევოლუციის უკანასკნელი საფეხურია და თქვენ ჯერ პირველი საფეხური უნდა გაიაროთ — კაპიტალისტური ხანა. კლასთა ბრძოლას ნიადაგი უნდა მოვუმზადოთ. ამიტომ საჭიროა გაუქმდეს « საზოგადო პასუხისმგებლობა » (**круговая порука**) და ყოველი კანონი, რომლის ძალითაც გლეხს ნება არ აქვს თავისუფლად მოიხმაროს (ე. ი. გაყიდოს) თავისი მიწა (იქვე, მუხ. 2).

კლასთა ბრძოლის ნიადაგი უნდა მოვამზადოთ.

ნუ თუ სოციალისტმა უნდა იზრუნოს ამისათვის? ეს
ხომ ბურჟუაზიის საქმეა? სოციალისტის ერთადერთი
მოვალეობაა, დაანგრიოს ის ნიადაგი, სადაც ადმო-
ცენდა კლასთა ბრძოლა. მიწის გასაზოგადოებრივება
ესლა არ უნდა მოხდეს, ეგ ევოლიუციის დასკვნა იქმ-
ნებაო. საკვირველი არ არის განა, რომ გამოდიან
« ნასწავლნი » პირნი და ამტკიცებენ, სოციალური
რევოლუცია განსაზღვრულ პლანით უნდა მოხდესო,
ჯერ უნდა ვიზრუნოთ, რომ დიალექტური პროცესის
მსვლელობას არაფერი გადაეღობოს გზაზედ და ხალ-
ხის საჭიროებათ შემდეგში დავაკმაყოფილებთო.
ხოლო « დიალექტური პროცესი » დღეს მოითხოვს
ჩვენგან კაპიტალიზმის განვითარებას, მაშასადამე
ყოველივე, რაც უშლის კაპიტალის გაბატონებას, უნდა
იქმნას გაუქმებული. მიწის საზოგადოებრივი მფლო-
ბელობა (**общинное владѣніе**), მაგალ., რუსეთში რომ
არსებობს, ყოვლად უვარგისი ფორმაა მიწის მფლო-
ბელობისა. იგი « უადგილოა » დღეს. საზოგადოებ-
რივი მიწის მფლობელობა პირველყოფილი ფორმაა
მიწის მფობელობისა. შეიძლება მომავალშიაც და-
მყარდეს ამგვარი ფორმა (კომუნიზმი), ხოლო დღეს
« ევოლუციისათვის » კერძო საკუთრების განმტკი-
ცებაა საჭიროვო. თორე აბა, განა სირცხვილი არ არის
გლეხი დღეს ამ საზოგადოებრივ მიწის მფლობელობის
წყალობით მოქალაქობრივ უფლებას არის მოკლებუ-
ლიო. მას არა აქვს მიწის გაყიდვის უფლება. რატომ
უნდა ჰქონოს ეს უფლება აზნაურს, მრეწველს და
ვაჭარს და გლეხს კი არაო.

ჰოი უმანკოებავ! მოქალაქობრივ უფლებების ძიებაში ხართ! აზნაური, ვაჭარი და მრეწველი ვაჭრობს მიწით, მაშასადამე, გლეხმაც უნდა ივაჭროსო. ეს ასეა. მაგრამ აზნაურს, ვაჭარს და მრეწველს რომ წაერთოს ეს უფლება?! მაშინ რას იტყვით? მოქალაქებრივ ცრემ-

ლების დადვრის მაგიერ, რატომ არ იზრუნეს [illegible] შესახებ, რომ მიწა ნუდარ იყოს [illegible] საგანი. მიწა საზოგადო კუთვნილებაა, მიწა ყველასია, ვინც ამუშავებს მას, საზოგადო კუთვნილებით ვაჭრობა შეუძლებელია. ასე რომ დააყენოთ კითხვა, ადარ დაგჭირდებოდათ ლიბერალურ გრძნობების გამოფენა და ადარ შეიტანდით თქვენს პროგრამაში სამარგვინო მუხლს: რადგან სხვებს აქვს კლდეზე გადავარდნის უფლება, ამგვარი უფლება გლეხსაც უნდა მიეცეს. რადგან მრეწველი ვაჭრობს მიწით, გლეხმაც ურდა ივაჭროს. და ის მარტივი აზრი, რომ არც გლეხმა, არც მრეწველმა არ უნდა ივაჭრონ მიწით, ეს აზრი თავში არც კი მოგდისთ, რადგან ყოველსავე ამას დისგარმონია შეაქვს თქვენს მიერ აღიარებულ დიალექტურ ევოლუციის პროცესში!..

აქ ჩვენ გაკვრით შევეხეთ საზოგადოებრივ მიწის მფლობელობას (**общинное землевладѣніе**) ამ კითხვის განმარტება კი ფრიად საინტერესოა, რადგან საზოგადოებრივი მიწის მფლობელობა ერთი იმ ფორმათაგანია, რომელიც უახლოვდება იმას, რასაც ჩვენ მიწის სოციალიზაციას ვუწოდებთ. ამიტომ გავსინჯოთ ეს საგანი უფრო ზედმიწევნით.

* * *

როგორც მოგეხსენებათ მიწის საზოგადოებრივი მფლობელობა დღესაც არსებობს რუსეთში. ძველ დროში იგი მთელ დასავლეთ ევროპის მეურნეობის ფორმა იყო. აქ არ გამოვუდგებით იმის გამოკვლევას, თუ რატომ მოისპო მიწის საზოგადო მფლობელობა ევროპაში. ზოგიერთი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ იგი ფორმა მიწის მფლობელობისა უფრო პოლიტიკურ, სახელმწიფოს ძალდატანების ძალით გაუქმდა ვიდრე ეკონომიურ ფაქტორის გავლენის ქვეშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე იყო თუ ისე, ევროპაში დღეს სოციალისტური პარტიები ცდილობენ გაუქმებულ მიწის მფლობელობის ფორმის აღორძინებას.

რუსეთში კი სოციალისტები, სახელდობრ მარქსისტები, ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ მიწის საზოგადო მფლობელობას ძირი გამოუთხარონ. და ეს გალაშქრება ახალი ამბავი არ არის. გამოვიდა თუ არა 1847 წელს ბარონ გეკსტგაუზენის ცნობილი გამოკვლევა რუსულ « მირის » შესახებ, ამ საგანს იმ დროიდამ დაიცხრნენ რუსის ეკონომისტები. მესამოცე წლებში « ობშჩინის » შესახებ ჩერნიშევსკის ჰქონდა საგულისხმო კამათი « ეკონომიჩესკი უკაზატელთან », — იმ დროინდელ სამეცნიერო ეკონომიურ ორგანოსთან. ჩერნიშევსკი ძლიერის არგუმენტებით გამოესარჩლა რუსეთის « ობშჩინას » და მის საბუთებს დღესაც ცხოველმყოფელი ძალა შერჩათ.

აქ « ობშჩინის » შესახებ კამათი იმდენად გვაინტერესებს, რამდენადაც თვით პრინციპი საზოგადო მიწის მფლობელობისა არის სოციალისტური პრინციპი. გარდა ამისა, საქართველოს ზოგიერთ პროვინციებში — მთაში, გარეთ-კახეთსა და ქიზიყში ვპოულობთ სათემო მფლობელობის ნაშთებს. და აი ჩვენთვისაც იბადება პრაქტიკული კითხვა, ხელი შევუწყოთ თუ არა ამ მოვლენას ? საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში გლეხებმა თუ მოისურვეს ამ ხასიათის მიწის მფლობელობის შემოღება, როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაში ? ამნაირი პრაქტიკული კითხვები დღეს თუ ხვალ წამოდგებიან ჩვენს წინაშე, რადგან კაპიტალიზმის ზედგავლენის წყალობით, დიდ მამულის კონკურენციის ზედგავლენით, წვრილი მესაკუთრეები იძულებული იქმნებიან შეაერთონ თავიანთი მამულები და საზოგადო მფლობელობა შემოიღონ. ამ ხასიათის ნიშნებს ევროპაში უკვე ვხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავთ. ეჭვი არ არის ისინი ჩვენშიაც იჩენენ თავს. ეხლა კი დავუბრუნდეთ ჩერნიშევსკის საბუთებს.

რატომ გალაშქრდნენ რუსულ « ობშჩინის » წინააღმდეგ ? « ობშჩინა » პირველყოფილი ფორმაა მიწის მფლობელობისა, კერძო საკუთრება კი შემდეგი, საშუალო საფეხურია. ხოლო რადგან უმაღლესს საფეხურამდე მისაღწევად საჭიროა საშუალო საფეხურის გავლა, ამიტომ ობშჩინასაც აუცილებლივ მოელის გაუქმებაო. გარდა ამისა, ობშჩინა აფერხებს მეურნეობის წარმატებას, რუსეთის ეკონომიური დაქვეითება ობშჩინის არსებობას უნდა მიეწეროსო. აი უმთავრესი არგუმენტები ობშჩინის წინააღმდეგ.

ჯერ პირველ მოსაზრებაზე შევჩერდეთ. კერძო საკუთრება ეკონომიურ ევოლუციის საშუალო მომენტს შეადგენს და მისი გაბატონება ამიტომ აუცილებელიაო. საკვირველია, რომ ამგვარსავე საბუთებს დღესაც იმოწმებენ მარქსისტები — გეგელის მეთოდოლოგიის მიმდევარნი. ხოლო ვინც გეგელის მეთოდს იმოწმებს, არ უნდა ავიწყდებოდეს რასაც ადიარებდა ამის გამო თვით გეგელი. გეგელის აზრით კი, როგორც მოგეხსენებათ, მსოფლიო არის « აბსოლუტურ იდეის » ლოდიკური განვითარება. ამ განვითარების საშუალო მომენტებს ხანდისხან ობიექტური არსებობა არ ეძლევათ. « დიალექტიკურ პროცესის » მოტრფიალეთ ყოველივე ეს თითქოს დაჰვიწყებიათ. ხოლო გეგელის ზოგად ფრაზეოლოგიას რომ თვალი მოვაშორეთ და საზოგადოებრივ ცხოვრებას მივაქციოთ ჩვენი ყურადღება, დავრწმუნდებით, რომ ზოგიერთი საზოგადოებრივი მოვლენა, რომელიც ერთ ხალხის ცხოვრებაში იჩენს თავს, მეორე ხალხის ცხოვრებაში არ იკეთებს ფესვებს. ვსთქვათ, — ამბობს ჩერნიშევსკი : « რომელიმე მოვლენა საზოგა-
« დოებრივ ცხოვრებისა მოწინავე ხალხში, კულტუ-

« რის გავლენის ძალით, უკიდურესობამდე განვი-
« თარდა. იმავე მოვლენას უფრო სწრაფი განვითარ-
« ება შეუძლიან სხვა, ჩამორჩენილ ხალხის ცხოვ-
« რებაში და დაბალ საფეხურიდამ პირდაპირ უმაღ-
« ლესამდე შეიძლება ავიდეს იგი, ხოლო სამუალო
« ლოდიკურ მომენტებს კი გზას აუხვევს »'ო (1). ამ
აზრის დასამტკიცებლად ბევრი მაგალითი მოჰყავს
ჩერნიშევსკის.

ავიღოთ ჩვენი ანბანი. სანამ ანბანს გამოიგონებ-
დნენ, კაცობრიობამ განვლო შემდეგი საფეხურები:
1) პირველად აზრის გამოსათქმელად საგნებს ხატავ-
დნენ, 2) ნახატი იეროგლიფს უთმობს ადგილს (ეგვი-
პტელები), 3) იეროგლიფი — იდეოგრაფს (ჩინელები),
4) იდეოგრაფულ ნიშნებიდამ გაჩნდა « ალფაბეტი »
ხმოვან ასოების გამოკვლევით (სემიტ.), 5) აქედან
წარმოსდგა ბერძნული სისტემა (ჩვენი).

ახლა გვიბრძანეთ, დღეს ველურ ხალხს რომ ასწავ-
ლიან ანბანს, განა იეროგლიფებიდამ იწყობენ თა-
ვიანთ გაკვეთილებს, განა პირდაპირ თანამედროვე
სისტემაზე არ გადადიან? (იქვე, გვ. 178). ან კიდევ
გეოგრაფიის სწავლების დროს, განა ჯერ იმას ასწავ-
ლიან, რომ დედა-მიწას თეფშის ფორმა აქვს და
ოკეანე მდინარეა, როგორც ეგონათ ჰომეროსის სიცო-
ცხლის ხანაში და ამის შემდეგ განა იმას უხსნიან,
რომ დედამიწა სწორე მარია (ასე ეგონათ ძველს
დროში) და განა მარტო უმფროსს კლასში უნდა
აუხსნან, რომ მიწას კვერცხის მსგავსი ფორმა აქვს,
შუაგულში დასრულებული და პოლიუსებში შეზდუ-
დულიო რასაკვირველია არა. (გვ. 179).

გარდა ამისა, შელინგი და გეგელი ამბობდნენ,
« უმაღლესი საფეხურები განვითარებისა თავის გარე-

(1) Н. Чернышевскій. — Статьи объ общинномъ владѣніи землею. გვ. 183.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გნულ ფორმით პირველყოფილ ფორმას მიაგავსო ». მართლაც, პირველყოფილ საზოგადოებაში, „ბაგელი" სამსჯავროს თვით ხალხი შეადგენდა. შემდეგში ეს მსჯავრო მოხელეების ხელში გადადის. ჩვენს დროში ნაფიც მსაჯულთა, ე. ი. ისევ ხალხის წარმომადგენელთა ხელშია სამსჯავრო. ან კიდევ აიღეთ ჯარი. პირველყოფილ ხანაში ჯარი მთელი ხალხი იყო. სამუალო საუკუნეებში სამხედრო სამსახურს განსაზღვრული წოდება, კლასი ასრულებდა. დღეს ისევ მილიციების სისტემა შემოდის ევროპაში (შვეიცარია). (იქვე, გვ. 167).

გეგელის მიმდევარი არა ვარო, ამბობს ჩერნიშევსკი. ხოლო ყოველივე ეს მეც სიმართლედ მიმაჩნია. გეგელის მიმდევარნო, თქვენ რაღას იტყვით ამის შესახებ ?

დარჩა მეორე საბუთი : « ობშჩინა » მეურნეობის წარმატებას აფერხებსო. ხოლო ვიკითხოთ, რა პირობებში შეუძლია მეურნეობას ნორმალური განვითარება ? ყველა დაგეთანხმება, რომ როდესაც სახელმწიფოში მბრუნავი კაპიტალი არ არსებობს, როდესაც ვაჭრობა-მრეწველობა განუვითარებელია და მისვლა-მოსვლის საშუალებანი ითქმის არ არსებობენ, როდესაც ხალხში არც პროფესიალური ცოდნა, არც საზოგადო განათლება არ არის გავრცელებული და იგი ამასთან თვითმოქმედებასაც არის მოკლებული, როდესაც მეურნეობას სხვა ხალხთა კონკურენცია ემუქრება — ყველა ამ პირობებში მეურნეობა ვერ განვითარდება. აქ არც კერძო არც საზოგადო მფლობელობა არ უშველის. ხოლო როდესაც ამ მოსაზრებათა მიუხედ-ვად, მეურნეობის დაქვეითებას მიწის საზოგადო მფლობელობას აბრალებენ, ამგვარი განმარტება ფაქტებისა, ერთ დარბაისელ მანდილოსნის მსჯელობას გვაგონებსო, — ამბობს ჩერნიშევსკი.

თურმე ეს მანდილოსანი ზამთარში ბალში წაბმანებულა. შიშველ მხრებზე მსუბუქი მანტილია წამოუსხავს, რისგამოც, რასაკვირველია, ძალზე გაცივებულა. ხოლო თავისს გაციებას იმას აბრალებდა, რომ თან მარაო (ვეერი) არ წავიღე, ამიტომ მოშივიდაო (იქვე, გვ. 258). ამ მანდილოსნის ლოდიკით მსჯელობენ ისინიც, ვინც მიწის საზოგადოებრივ მფლობელობის ფორმას აბრალებენ იმაში, რაშიაც მას ბრალი არ უძევს.

გვეუბნებიან კიდევ, « ობშჩინა » ირღვევაო. მართლა ასეა ეს ? ამ საგნის ცნობილი მკვლეველი ბ. ვ. ვ. კი სულ სხვას გვასწავლის (1). ყირიმში 1783 წლიდამ გადასახლებულ რუსის გლეხობას კერძო საკუთრებაზე ჰქონდა დამყარებული მეურნეობა. ხოლო 1855 — 1885 წლებში მათს შორის გაჩნდა მოძრაობა საზოგადო მფლობელობის სასარგებლოდ. და ამ ხანაში ეს წესი შემოიღო 161 სოფელმა. ყირიმში კერძო მფლობელობის სისტემა არა-რუსებმაც შემოიღეს — 6 ესტონელ, 2 ბერძნის, 2 ბულგარელ, 1 ჩეხელ და 1 გერმანელ სოფელში. შიდა რუსეთში (კურსკსა, რიაზანსა, ტამბოვში და სხვ.). ამგვარივე მოძრაობა გაჩნდა 1890 წელს ეგრედ წოდებულ თავისუფალ მეურნეთა შორის (Вольные хлѣбопашцы). 1803 წლიდამ, როდესაც ბატონყმობის უღლიდამ იყვნენ განთავისუფლებულნი, ყველას თავისი კერძო საკუთრება ჰქონდა. გარემოებამ აიძულა ეს წესი გადაეგდოთ და საზოგადო მფლობელობა შემოიღეს, რომელიც მათთვის უფრო ხელსაყრელი გამოდგა. სამარის გუბერნიაში, გერმანელ კოლონისტ ბაპტისტებსაც დაუნებებიათ ძველ ნაჩვევ წესისათვის თავი,

(1) ვ. ვ.-ს მიერ შეგროვილ ცნობებს ვიღებთ კროპოტკინის წიგნიდამ « Mutual aid a factor of evolution ». გვ. 252 — 255.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ მესაკუთრეს 103 აკრა მიწა ჰქონდა. 1890 წ. 103 სოფლიდან 72 ხელ-ფელმა გამოაცხადა სურვილი « ობშჩინის » დაშლა-ლებისა სასაგებლოდ.

შორს წაგვიყვანს ამგვარი ფაქტების აღნუსხვა. ვიტყვით მხოლოდ, რომ « ობშჩინას » სიკვდილი არ მოელის, იგი იქაც კი არსდება, სადაც წინად კერძო მფლობელობის სისტემა იყო, რუსეთში მისი უ ფ ლ ე ბ რ ი ვ ი ფუნქციები გადასხვაფერდნენ; იურიდიული ჩონჩხი « ობშჩინისა » შეიძლება შეიცვალოს (და იგი იცვლება კიდევაც არსებულ კანონმდებლობის და სხვა მიზეზთა გავლენით), ხოლო მისი ძარღვი, არსებითი თვისება, პრინციპი საზოგადოებრივ მფლობელობისა დარჩება (1).

აქ საყურადღებო ის არის, რომ მაშინ, როდესაც რუსეთში « ობშჩინას » არა სწყალობენ, დასავლეთ ევროპაში სულ სხვასა ვხედავთ. ხოლო ამის შესახებ ქვემოდ გვექნება სჯა-ბაასი. ეხლა კი უნდა განვმარტოთ ის, რომ გლეხკაცობის ხსნა კერძო საკუთრების სისტემის გაუმჯობესებაში კი არ არის, არამედ კერძო საკუთრების გაუქმებაში და მიწის მფლობელობის გასაზოგადოებრივებაშია.

* * *

ჩვენ მომხრენი ვართ მიწის საზოგადო მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ი ს ა ჯერ იმიტომ, რომ იგი ფორმაა საზოგადო წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა. მართალია, მფლობელობის გასაზოგადოებრივება არ ნიშნავს კიდევ წარმოების გასაზოგადოებრივებას. რუსეთის « ობშჩინაში », მაგალითად, თითოეულ კომლს განსაზღვრულ ვადით მიწას სარგებლობაში აძლევენ და ვადის გათავების შემდეგ მიწა ისევ « ობშჩინას » უბრუნდება, სადაც

(1) ამის შესახებ ის. კაჩერევსკის თხზულება „ Русская Община ".

ხელახლად იმიჯვნება იგი (**передѣлъ**) და ხელახლად მოთხოვნილების მიხედვით გლეხებს ურიგდებინ. აქ ჩვენ არ ვხედავთ საზოგადოებრივ წარმოებას, არამედ მარტო საზოგადოებრივ მფლობელობას. ხოლო იქ სადაც საზოგადო წ ა რ მ ო ე ბ ა დამყარდება, საზოგადო მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა სავალდებულო უნდა იყოს. საზოგადო მფლობელობა არ არის აუცილებელი პირობა წარმოების გასაზოგადოებრივებისა, ხოლო ეს უკანასკნელი კი უპირველოდ ვერ გაიკეთებს ფესვებს.

მაშასადამე, ჩვენ დღესვე უნდა მოვუმზადოთ კომუნისტურ წარმოების განხორციელებისათვის შესაფერი ნიადაგი.

ჩვენ მომხრენი ვართ მიწის საზოგადო მფლობელობისა აგრეთვე იმიტომ, რომ თანამედროვე პირობებში, კონკურენციის ზედგავლენით, წვრილფეხა გლეხობა თან და თან ებმება მევახშისა და მემამულეს მიერ გაბმულ ქსელებში. და ცხადზე უცხადესია, რომ ამ დამონების მოსპობისათვის სრულიად არ არის საკმარისი პატარ-პატარა გაუმჯობესებანი თუ შევიტანეთ გლეხკაცის მდგომარეობაში.

რუსეთის სოციალ-დემოკრატები (და დღეს გაჭირვებაში ჩავარდნილი გლეხები და ლეგალური პრესაც) იძახიან, უნდა გაუმჯობესდეს მოიჯარადრეობის პირობები, უნდა მოისპოს « დროებით ვალდებულობა », ნაყმევები შესაკუთრეებად უნდა გახდნენ, ხოლო მათ ის მიწაც უნდა მიეცეს, რომელიც « განთავისუფლების » დროს წაერთვათ მემამულეთა სასარგებლოდ. მაგრამ, საქმე ის არის, რომ არც ერთი აქ აღნიშნული ზომა შესამჩნევად არ შესცვლის გლეხობის მდგომარეობას . და თუ შესცვლის მხოლოდ დროებით და მერე ისევ იმავე უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდება გლეხკაცი. გა ვარჩიოთ ეს უფრო ზედმიწევნით.

ავიღოთ მოიჯარადრეობა. მოიჯარადრეობას იქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს ადგილი, სადაც გლეხობას საკუთარ მიწა-ნელ არ აქვს, ან მცირე ნაწილი. და საიჯარო ფასი ანუ ფასიც დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დიდია რიცხვი იმ ლარიბ-ლატაკთა, რომელთაც თავის გამოსაკვებად მიწა არა აქვსთ. როცა ამგვარი რიცხვი დიდია, მოიჯარადრეთა შორის ქიშპობა იბადება (არსებობისათვის ბრძოლა მძიმეა) და ვინც მეტს მისცემს მემამულეს, მიწა იმას ერგება. ამრიგად, როცა საიჯარო ფასი განუსაზღვრელად მაღალია, ეს იმას ნიშნავს, რომ სოფელში ბევრია იმისთანა გლეხი, რომელიც ნახევრად მშიერ-მწყურვალი დაიარება.

სოციალ-დემოკრატებს ჰსურსთ ამ გარემოებას საგანგებო სასამართლოს დაარსებით უშველონ. მაგრამ, რა შეუძლიან სასამართლოს? ხოლო, ვსთქვათ, კანონის ძალით საიჯარო ფასი ამა და ამ ნორმას არ უნდა აღემატებოდეს. ამკარაა ამ კანონს არავინ აასრულებს, რადგან კანონი მოიჯარადრეთა შორის ქიშპობას ვერ მოსპობს, კანონი ვერ შეამცირებს ლარიბ-ლატაკთა რიცხვს და ვერ დაუშლის გლეხს ლუკმა პურის საშოვნელად თავის ჯან-ღონის სამარცხვინო ფასად გაყიდვას. და ამრიგად სასამართლო უძლური იქნება « სამართლიანობა » დაამყაროს მემამულესა და მოიჯარადრეს შორის. ასეთივე უძლურობის ბეჭედი დაესმის მევაჭშეობის წინააღმდეგ გამოცემულ კანონებს.

მაგრამ ვსთქვათ, სასამართლომ მოახერხა და დასწია გადამეტებულად აწეული საიჯარო ფასი (**непомѣрно высокія арендныя платы**, როგორც ს.-დემ. ბროგრამაშია ნათქვამი). ვსთქვათ დააწესეს სხვა ფასი, « — არა-გადამეტებულად » აწეული. ნუ თუ მოიჯარადრეთა მდგომარეობა ამით გაუმჯობესდება? უნდა გვახსოვდეს, გლეხი მემამულესთან იმიტომ მიდის, რომ უჭირს, თავისი მიწა არა ჰყოფნის. და

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმის მაგიერ, რომ ეს ძირითადი უკეთმართობა მოსპოთ, იმის მაგიერ, რომ რაიმე ღონე იღონოთ მეწის მფლობელობისაგან გამოწვეულ მონურ დამოკიდებულების გადასაწყვეტად, თქვენ აარსებთ სასამართლოებს მხოლოდ საიჯარო ფასის დასაწევად და თითქოს ამ სახით კანონიერ სანქციას აძლევთ სოციალურ უსამართლობას! არა, სოციალისტი ამას ვერ შეიწყნარებს!

ავიღოთ ახლა დროებითი ვალდებულება და წვრილი მესაკუთრეობა. ვსთქვათ, მოიხსნა ბატონყმობის დროიდან დარჩენილი წესები. დროებით ვალდებულ გლეხს მიწა სახელმწიფომ გამოუყიდა ან ძალით წაართვა მემამულეებს. ვსთქვათ დიდი უმრავლესობა ჩვენის გლეხობისა მესაკუთრედ შეიქმნა. რა მოჰყვება ამ გარემოებას? გაუმჯობესდება გლეხის მდგომარეობა თუ არა? აქაც გაუმჯობესება დროებითი მოვლენა იქნება. ხალხი მრავლდება, რაც დღეს აკმაყოფილებს მას, ოც-და-ათის წლის შემდეგ ადარ დააკმაყოფილებს, თუ მხედველობაში ისიც მივიღეთ, რომ ჩვენში ტექნიკური გაუმჯობესება და პროგრესი ძლიერ ნელის ნაბიჯით მიდის წინ. გლეხის საკუთრება ისედაც წვრილი, ამრიგად უფრო დაწვრილმანდება და, რასაკვირველია, უფრო და უფრო გაუჭირდებათ ბაზარზე ქიშპობა გაუწიოს სხვილ მეპატრონეთა. ასე რომ არც ბატონყმურ წესების მოსპობით, არც საიჯარო ბირობების გაუმჯობესებით გლეხის ექსპლუატაციას ბოლო არ მოეღება. და ეს ექსპლუატაცია აიძულებს გლეხს მიწის მფლობელობის ფორმა შესცვალოს. და სწორედ ეს იქმნება დასაწყისი იმის ეკონომიურ განთავისუფლებისა.

* * *

ამ მოვლენამ ევროპაში უკვე იჩინა თავი. კაპიტალიზმის გაძლიერებასთან ერთად მფლობელობის

ფესის შეცვლის საჭიროება აუცილებლივ ჩვენშიაც ამოჰყოფს თავს. ჩვენ ვგულისხმობთ მიწის ნაციონალიზაციას და კოოპერაციას, რომელიც შრომის და კაპიტალის გასაზოგადოებრივებისა პირველყოფილ ფორმად ჩაითვლება. ბელგიაში, მაგ., ფვრილი მესაკუთრენი მიხვდნენ, რომ სხვილ მემამულეს ქიშპობას ვერ გაუწევენ, თუ სხვა ფვრილ მემამულეებს არ შეუერთეს თავიანთი ძალ-ღონე. ამრიგად თან და თან კერძო მფლობელობას იქ საზოგადო ხასიათი ეძლევა. ხოლო ამგვარივე ხასიათი ეძლევა ხარჯის გაწევას და შრომას. გლეხთა კავშირები საერთოდ ჰყიდულობენ სამეურნეო იარაღს. გაუმჯობესებულ სისტემის მანქანები — სამკალი, სათიბი, სათესი, გუთანი და სხვ. მარტო სხვილ და მდიდარ მემამულეთა კუთვნილებად ადარ არის. საერთოდვე ჰყიდულობენ თესლს, სასუქს. საზოგადო მაღაზიებსა ხსნიან თავიანთ ნამუშავრის გასასაღებლად. ერთის სიტყვით, ურთიერთშორის დახმარება და სოლიდარობა თან და თან მატულობს ამ ხასიათის კოოპერატორთა შორის.

უნდა ვსთქვათ, რომ კოოპერატულ მოძრაობას ბევრი მტერი ჰყავს სოციალისტურ ლიტერატურაში. ხოლო კრიტიკოსებს მხედველობაში აქვსთ ხოლმე ვაჭრულ ხასიათის კოოპერაცია, სადაც დაქირავებული მუშებიც მუშაობენ და სადაც ყოველივე კაპიტალისტურ საფუძველზეა მოწყობილი. სრულიად გეთანხმებით, რომ ამგვარ კოოპერაციას სოციალიზმთან არა აქვს-რა საერთო. მხოლოდ ჩვენ ვგულისმობთ იმ თანამემწეობის, თანამშრომლობის პრინციპს, რომელიც ნამდვილ კოოპერაციის საფუძვლად უნდა ჩაითვალოს. და ეს პრინციპი არამც თუ არ ეწინააღმდეგება სოციალისტურ მოთხოვნილებათ, არამედ მათ განხორციელებას ხელსაც უწყობს. ამ საგანში მწერალთა შორის სრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანხმდება. საკამათოდ მხოლოდ ის დარჩა, რომელი ერთნი ამტკიცებენ, კოოპერაცია ესლა [illegible] იყოს შემოღებული სოფელში, კოოპერაციის საშუალებით წვრილი მესაკუთრე პროლეტარიზაციისაგან უნდა ვიხსნათო. მეორენი კი (მარქსისტები) დღევანდელ პირობებში კოოპერაციას კაპიტალიზმის განვითარებისათვის შემაფერხებელ საშუალებად სთვლიან, განსაკუთრებით იმიტომ, რომ კოოპერაცია პროლეტარიზაციისაგან იფარავს წვრილფეხა გლეხობას. ამ მწერალთა აზრით, კოოპერაციას მხოლოდ მომავალში, სოციალურ რევოლუციის შემდეგ ექმნება მნიშვნელობაო. კაუცკი თავის « სოციალურ რევოლუციაში » ამბობს : სოციალურ რევოლუციის შემდეგ « გლეხები თავიანთ მიწას ერთმანერთს შეუერთებენ და საერთოდ შეიმუშავებენ მას. ამას განსაკუთრებით იმიტომ იზამენ, რომ დაინახავენ, რა დიდ სარგებლობას იძლევა მამული ამხანაგურს საფუძველზე დამყარებული... ისინი დარწმუნდებიან, რომ გაერთიანებულ მამულებში შრომას მეტი ნაყოფი მოაქვს და მუშას მეტი თავისუფალი დრო დარჩება, ვიდრე წვრილ მესაკუთრეს » (გვ. 144). ამავე იზრისა არიან ენგელსი, ლიბკნეხტი და სხვანი. ამის წინააღმდეგ ჩვენ არა გვეთქმის-რა, მხოლოდ ერთი რამ არ გვესმის, რატომ უნდა მოიტანოს კოოპერაციამ ამგვარი ნაყოფი მორეულ მომავალში და რატომ უნდა იყოს იგი მავნებელი დღეს ?

რუსეთის სოციალ-დემოკრატები კიდევ სოციალიზაციას იმიტომ არ თანაუგრძნობენ, რომ მათის აზრით, დღეს სოფელში ბურჟუაზული ნიადაგი უნდა განვითარდეს და ამიტომაც არის, რომ ჩვენ დახმარებას ვუწევთ კერძო საკუთრებასო. « მართალია, კერძო საკუთრების განმტკიცება რეაქციონური ზომაა, — განაგრძობენ ისინი, — რადგან იგი სხვილ კაპიტა-

ლისტურ მამულის წინააღმდეგ არის მიმართული, ხოლო ჩვენ დახმარებას ვუწევთ კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად კი არა, არამედ ბატონყმობის აღმოფხვრის მიზნადო » (1). — « მაგრამ საქმე ის კი არ არის რის წინააღმდეგ « გსურსთ » კერძო საკუთრებას ხელი გაუმართოთ, — უპასუხებენ ამაზე სოციალისტ-რევოლუციონერები,— რის წინააღმდეგაც არ გინდათ დაეხმაროთ მას, თქვენ არ შეგიძლიანთ ამითი არ გააძლიეროთ იგი. და რაკი აძლიერებთ კერძო საკუთრებას, საშუალებას აძლევთ წინააღმდეგობა გაუწიოს არა მარტო იმას, რაც თქვენც გინდათ, არამედ იმასაც, რაც თქვენ არ გინდათ. სოციალისტური პარტია არ უნდა ემსახურებოდეს მიწის საკუთრების ინდივიდუალიზაციას. და თუ საჭიროდ იცნო მშრომელ გლეხობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, მან უნდა ხელი შეუწყოს გლეხკაცობის მიწის მფლობელობას, ხოლო საზოგადოებრივ და არა ინდივიდუალურ ნიადაგზეო ».

ამრიგად. არც ერთი საბუთი არ არის, რომელსაც შეეძლოს დარღვევა იმ აზრისა, რომ გლეხმა დღესვე უნდა დაიპყროს ხელში მიწა და მისი მფლობელობა საზოგადოებრივი გახადოს. ამას მოითხოვს სოციალიზმი, ამასვე მოითხოვს თანამედროვე მეურნეობის მდგომარეობა, როდესაც წვრილ მესაკუთრეთა ბედი თან და თან უვარგისდება, კონკურენციის, მიწის დაკუწვის და ხალხის ზრდის წყალობით.

მაშასადამე, როგორც ვნახეთ, არც საიჯარო ფასების გაწესრიგება, არც წვრილ საკუთრების განმტკიცება, გლეხს არ ხსნის სიღარიბიდამ და მაშასა-

---

(1) ეს სიტყვები „ რევ. რუსიას " „ ზარია "-დამ მოუყავს, იხ. № 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამე ჩვენმა პარტიამ თავის აგრარულ პროგრამაში მიწის სოციალიზაციის საჭიროება უნდა აღიარეს.

* * *

მიწის სოციალიზაციის მაგიერ ხშირად ამბობენ: მიწის ნაციონალიზაცია. ბევრნი ამ ორ მცნებათა შორის არავითარ განსხვავებას არ ხედავენ. ხოლო მამინ, როდესაც ნაციონალიზაცია ნიშნავს მიწის დასაკუთრებას სახელმწიფოს მიერ. სოციალიზაცია არის მიწის გადასვლა საზოგადოების, კომუნის ხელში.

სანამ სახელმწიფო და ხალხი, მეცნიერთა თვალში, ერთ განუყოფელ სხეულს წარმოადგენდნენ, ამ ორ მცნებათა შორის წინააღმდეგობა თითქოს არ არსებობდა. მაგრამ თან და თან, კლასთა ბრძოლის განვითარების ზედგავლენით, აღმოჩნდა, რომ თანამედროვე სახელმწიფო ბურჟუაზულ-კლასებრივი ორგანიზაციაა და სახელმწიფოს და ხალხის ინტერესები ხშირად ერთიერთმანერთს ეწინააღმდეგებიან. ხოლო უნდა ვსთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ ეს აზრი ყველასათვის გამოირკვა, სოციალისტური პარტიები მაინც ხშირად ნაციონალიზაციას და არა სოციალიზაციას ითხოვენ. მაგრამ ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მიწის სოციალიზაციის აზრი თან და თან მოქალაქობრივ უფლებას ინიჭებს და ნაციონალიზაციის პროექტებს სოციალისტები ზოგიერთ შემთხვევაში ეჭვის თვალით უყურებენ ხოლმე.

წინად გერმანიაში სოციალისტები ნაციონალიზაციის მოამხრენი იყვნენ. 1848 წელს « გერმანის კომუნისტური პარტია » ითხოვდა: 1) თავადების და ფეოდალების მამულები, მადნები და სხვ. სახელმწიფოს საკუთრებად უნდა შეიქმნესო... 2) გირაო, გლეხის მამულებს რომ აძევს, სახელმწიფოს საკუთრებად ხდება. ვალის სარგებელს გლეხები აძლევენ სახელმწიფოს. 3) სადაც მოიჯარადრეობა არის და-

მკვიდრებული, რენტა ან საიჯარო ქირა გადასახადის სახით სახელმწიფოს უნდა ეძლეოდეს.

ასე რომ სახელმწიფო ერთსა და ხანგრძლივ დროს მესაკუთრედ, მებატონედ და ხარჯის ამკრებად ხდებოდა. ამგვარი მიმართულება აღმოცენდა იმ ხანაში, როდესაც მარქსის და ენგელსის ზედგავლენით ეკონომიურ ცენტრალიზმის აზრები იყო გავრცელებული, როდესაც ეგონათ, რომ პროლეტარიატი რამდენისამე წლის განმავლობაში ჩაიგდებს ხელში პოლიტიკურ უფლებას და მაშასადამე მის ხელში დარჩება სახელმწიფოს მიერ დასაკუთრებული მიწა, ბანკი და რენტა.

ეხლა ამ მხრივ თვით გერმანიაშიაც ძველ ოპტიმიზს აღარ იჩენენ. გერმანიაში ნახევრად აბსოლუტური მმართველობაა. სახელმწიფომ რომ მიწა და რენტა ჩაიგდოს ხელში, ეს სამინლად გააძლიერებს მის ძალას. ამ იარაღის საშუალებით მთავრობის ქსელში გაებმებიან ყველანი, ვისაც მიწა ესაჭიროება და მის ყურმოჭრილ მონად შეიქმნებიან. ამიტომაც არის გერმანიის სოციალ-დემოკრატია მონოპოლიის სისტემას დროგამოშვებით უნდობლობას უცხადებს ხოლმე. მან უკუაგდო ბისმარკის პროექტი თამბაქოს მონოპოლიისა, წინააღმდეგი შეიქმნა იმისი, რომ Reichsbank'ი სახელმწიფო ბანკად გაეხადათ, წინააღმდეგი იყო აგრეთვე ბებელის და ლიბკნეხტის პროექტისა (ბრესლავლის კონგრესზე) შესახებ იპოტეკების სახელმწიფოს მიერ შეძენისა. (იხ. Рев. Рос. № 15).

ნაციონალიზაციის პროექტებს დღეს დიდი გასავალი აქვსთ ინგლისსა და ამერიკაში. ინგლისში « სოციალ-დემოკრატთა ფედერაციის » პროგრამაში მიწის ნაციონალიზაციაა წამოყენებული. ამერიკაში ნაციონალიზაციის დამცველად დემოკრატები გამოვიდნენ, როგორც მაგ., ჰანრი ჯორჯი.

ჰანრი ჯორჯის აზრით, საჭიროა მოისპოს ყველა

ნაირი გადასახადი გარდა ერთისა. ეს გადასახადი უნდა იყო მიწის საკუთრებაზე დადებული, ანუ ვსთქვათ რენტაზე (მიწის შემოსავალზე) დადებული გადასახადი. ანრი ჯორჯი ამბობს: « მიწის მესაკუთრეს ვეღარ მოეხიბლავს ის მოსაზრება, მომავალში მიწის ფასი აიწევა და ამრიგად ხეირს ვნახავო: რამდენადაც ფასი აიწევა, იმდენად გადასახადიც. მიწაზე სპეკულიაციასაც ბოლო მოეღება... გადასახადი, რომელიც იქმნება შემოდებული მიწის წმინდა ღირებულებაზე (მამულის გაუმჯობესების მიუხედავად) სასარგებლო იქმნება იმ მესაკუთრეებისათვის, რომელთაც ტეხნიკური გაუმჯოფესება ვერ შეუტანიათ მეურნეობაში, ე. ი. სასარგებლო იქმნება წვრილ მესაკუთრეთათვის »'ო (1). ამრიგად, ჯორჯის აზრით მიწის მფლობელობის უთანასწორობა გასწორდება იმითი, რომ დიდ მესაკუთრეთ დააწვებათ სახელმწიფო გადასახადი და ეს გადასახადი ისე მძიმე იქნება, რომ მოსპობს მესაკუთრეობასაც.

ხოლო ჰანრი ჯორჯის სისტემაში უსაზღვრო ნდობაა სახელმწიფოსადმი. მართალია, ამერიკაში დემოკრატიაა გაბატონებული, მაგრამ დემოკრატიის გაბატონება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ დემოკრატული სახელმწიფო ხ ა ლ ხ ი ს ინტერესების გამომსახველია. მონარქიასთან შედარებით იგი, რასაკვირველია, უფრო ახლოს არის ხალხის ინტერესებთან. ხოლო იგი მაინც კლასებრივ სახელმწიფოდ რჩება. და ვინ არის თავდები, რომ კლასებრივი სახელმწიფო რენტის დასაკუთრებით მოპოვებულ ფულს და ძალას ხალხის წინააღმდეგ არ მოიხმარს, როდესაც იგი სოციალურ რევოლუციისათვის ადსდგება?!

ამ მოსაზრებათა ძალით ჩვენ წინააღმდეგნი ვართ

---

(1) იხ. Social Problemes by Henry George. 200 — 211.

მიწის ნაციონალიზაციისა, ე. ი. იმისი, რომ სახელმწიფო გახდეს მიწის, ან რენტის მესაკუთრედ, ხოლო მომხრენი ვართ მიწის სოციალიზაციისა, ე. ი. იმისი, რომ სოფლის საზოგადოებანი, გლეხთა კავშირები და კოოპერაციები გახდნენ მიწის პატრონ-მფლობელნი.

* *
*

ის აზრი, რომ მიწა კომუნების საკუთრებად უნდა გახდეს და არა სახელმწიფოსი განსაკუთრებულის სიმტკიცით « ინტერნაციონალი »'ს მიერ იყო აღიარებული. ბაზელის კონგრესზე (1869) შემდეგი რეზოლუცია მიიღო კონგრესმა : « 1) კონგრესი აღიარებს, « რომ საზოგადოებას უფლება აქვს მოსპოს მიწის « კერძო საკუთრება და მის ადგილას საზოგადო « მფლობელობა დაამყაროს, 2) კონგრესი აღიარებს, « რომ ამგვარ ტრანსფორმაციას საზოგადოების ინ- « ტერესი მოითხოვს ». ხოლო რაიც შეეხება იმას, თუ რანაირად უნდა მოხდეს ეს ცვლილება კონგრესი გადაჭრით არას ამბობს : « აღიარებს-რა მიწის სა- « ზოგადო მფლობელობის პრინციპს, კონგრესი ყვე- « ლა სექციებს სთხოვს შეიმუშავონ კითხვა, თუ რა « პრაქტიკულის საშუალებით განხორციელდება იგი « პრინციპი »'ი.

მესამოცე წლებში რუსეთის სოციალისტურ წრეებშიაც სოციალიზაციის და არა ნაციონალიზაციის კითხვა ჰქონდათ წამოყენებული. 1862 წ. « ახალგაზდა რუსეთმა » (Молодая Россія) აღიარა : « თითოეული « ოლქი შესდგება მიწისმოქმედთა ობშჩინებისაგან... « მიწა, რომელიც მიეცემა ობშჩინის თითოეულ წევრს, « მიეცემა რამდენისამე წლის ვადით და არა სამუ- « დამოდ. ვადის გათავების შემდეგ სოფელი მიწას « ხელმეორედ გადამიჯნავს ». 1868 წ. « Народное

Дѣло »'ში გამოცხადებულია: « მიწა მხოლოდ იმათ
« ეკუთვნისთ, ვინც თავის ხელით ამუშავებს
« მიწისმოქმედთა ობშჩინებს »'ო. 1875 « Народ-
გამოაცხადა: « რევოლუციონური სახელმწიფო...
« გლეხთა ობშჩინებს კომუნალურ-ობშჩინად გადააკე-
« თებს, სადაც საწარმოვო იარაღის საზოგადო მფლო-
« ბელობასთან ერთად შრომის ორგანიზაციაც საზო-
« გადო გახდება »'ო.

თანამედროვე ევროპის სოციალისტური, ანუ უკედ ვსთქვათ, სოციალ-დემოკრატული პარტიები ასე თამამად არ აღიარებენ მიწის სოციალიზაციის პრინციპს. როდესაც მიწის, ტყის, მადნეულობის მფლობელობის შესახებ აქვსთ ლაპარაკი, ისინი სოციალიზაციას ნაციონალიზაციას ამჯობინებენ. სოციალიზაციის ნიადაგზე მხოლოდ მაშინ დგანან, როდესაც აღიარებენ კომუნალურ მფლობელობის (ობშჩინის) აღდგენის ან გაფართოვების საჭიროებას. და ამ მხრივ ევროპის და რუსეთის ს.-დემოკრატთა შორის ძირითადი განსხვავებაა.

ასე, მაგალ., ნანტის კონგრესზე (საფრანგეთში) დაადგინეს: სოფლის საზოგადოებათ მიეცეს განსაკუთრებული უფლება ხახელმწიფო მიწების საიჯაროდ აღებისათვის. უნდა გაფართოვდეს სოფლის საზოგადოებრივი საკუთრება. ამისათვის კომუნალურ ბიუჯეტის ზედმეტი მოგება ამ საზოგადოებათ უნდა მოხმარდეს. კომუნებს უნდა აღეკრძალოს იმ მიწების გაყიდვა, რომელიც სოფლის საზოგადოებათ ეკუთვნის და სხვ.

ბელგიელ ს.-დემოკრატიის პროგრამაში (ბრიუსელის და გენტის კონგრესზე შემუშავებული) ორ ელემენტს ვხედავთ, კომუნალურს და სახელმწიფურს. მიწა პროგრესიულად უნდა იყოს გამოსყიდული სახელმწიფოს ან კომუნის მიერ. პროგრამა აღიარებს

აგრეთვე ტყეების ნაციონალიზაციას და საზოგადოებრივ ქონების განვითარების საჭიროებას.

ამ ორ ელემენტს ავსტრიის პარტიის პროგრამაც-ციაშიაც ვხედავთ: ტყის, საძოვრის და წყლის ძალთა გასაზოგადოებრივება სახელმწიფოს, სოფლის ან სოფლის საზოგადოების შემწეობით უნდა მოხდესო, ხოლო რუმინელები უფრო იმის მომხრენი არიან, რომ მარტო სახელმწიფომ გამოისყიდოს თან და თან დიდ მემამულეთა მიწა.

ყველა ამ პროგრამებში ვპოვებთ ერთ საგანს, რომელსაც სრულიად არა აქვს ადგილი რუსეთის ს.-დემოკრატულ პარტიის აგრარულ პროგრამაში. აქ ვხედავთ სურვილს ობშჩინის, კომუნალურ საკუთრების აღდგენისას. და აქვე ვპოვებთ მიწისმფლობელობის რადიკალურად გადაკეთების საჭიროების აღიარებას.

* *
*

როგორც ვსთქვით, ჩვენ ვართ მომხრენი მიწის სოციალიზაციისა და არა იმისი, რომ მიწა ან რენტა სახელმწიფოს ხელში ჩაუვარდეს. დემოკრატული სახელმწიფო ჩვენს თვალში კლასებრივ-ბურჟუაზული წყობილებაა. ადვილად შესაძლებელია, რომ ახლო მომავალში სწორედ ამგვარი წყობილება დამყარდება რუსეთში. ხოლო რადგან მიწის გასაზოგადოებრივება უნდა განხორციელდეს დღესვე, ბურჟუაზულ ხანაში, ამიტომ ამ « რეფორმის » განხორციელებას ვერ ვანდობთ კლასებრივ-ბურჟუაზულ სახელმწიფოს, მოსურვებული რომ ყოფილიყოს კიდევაც ამ ხასიათის აგრარულ ცვლილების მოხდენისა.

მაგრამ შეიძლება გვითხრან. საქართველო ეროვნულ ავტონომიას რომ მოიპოვებს და ამგვარივე ავტონომიები კავკასიის სხვა ერებსაც რომ მიენიჭება, იქნება კავკასიის ფედერატულმა პარლამენტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესძლოს ამ « რეფორმის » განხორციელება-არ გვგონია. ვერც კავკასიის ფედერატული პარლამენტი იკისრებს ამ საგნის გადაწყვეტას. რადგან ჩვენის აზრით, მიწის სოციალიზაცია მოხდება რევოლუციონურ ექსპროპრიაციის საშუალებით და არა კანონმდებლობის მეოხებით. ამ საგანს ჩვენ ქვემოდ დავუბრუნდებით. ეხლა კი საჭიროა გათვალისწინება იმ კითხვისა, თუ რამდენად შესცვლის მიწის სოციალიზაცია არსებულ ცხოვრებას, სიმდიდრის და საწარმოვო იარაღის უსამართლო განაწილებაზე დამყარებულ ცხოვრებას.

ბრიბლემა ამნაირია. ვსთქვათ, მიწის მომუშავეთ ჩაიგდეს ხელში მთელი მიწა და საზოგადოებრივი მფლობელობა განაწესეს. განა გაუმჯობესდება ძირიანად მათი ეკონომიური მდგომარეობა, დანარჩენი პირობები ჩვენი სოციალურ ცხოვრებისა რომ ისევ უცვლელი დარჩნენ? ე. ი. ვაჭრობა-მრეწველობის პირობები რომ არ შეიცვალნენ, ქარხანა რომ ისევ კაპიტალისტის ხელში იყოს და სავაჭრო კაპიტალი ბანკის პატრონის ხელში?

კროპოტკინი თავის « La Conquête du Pain »'ში ამბობს: « გლეხი რომ ბატონისაგან განთავისუფლ-
« დეს, ხოლო ამავე დროს მრეწველობა რომ კაპი-
« ტალისტის, ვაჭრის და ბანკირის ხელში დარჩეს,
« ყველა ამისგან არავითარი კეთილი ნაყოფი გამოვა.
« გლეხი დღეს მარტო იმითი კი არ არის შეწუხებუ-
« ლი, რომ იგი იძულებულია მემამულეს საიჯარო
« ფასი აძლიოს, არამედ იგი შეწუხებულია მთელ
« თანამედროვე ცხოვრების პირობების მიერ. გლეხს
« სჩაგრავს მექარხნე, რომელიც ათშაურიან ბარს
« მანეთად აძლევს, სჩაგრავს სახელმწიფო გადასა-
« ხადი... გლეხი იჩაგრება იმითი, რომ ძვირად უჯ-
« დება ჯარის შენახვა, იმ ჯარისა, რომელიც სა-

« ხელმწიფეს ესაჭიროება, რადგან ყველა ეს-
« კაპიტალისტები ბაზრების დასაპყრობად სულ მუ-
« დამ იმიანობაში არიან... დასავლეთ ევროპაში
« გლეხი იჩაგრება აგრეთვე სოფლის დაცარიელების
« გამო, რადგან ახალგაზდობა ქალაქში გარბის, სა-
« დაც ფუფუნებისათვის მიჩნეულ საგნების გაკეთე-
« ბაში ხშირად შედარებით მაღალ სამუშაო ფასს
« იღებს და სადაც ცხოვრება უფრო სასიამოვნო.
« იჩაგრება იმიტომ, რომ ხელოვნურად მრეწველო-
« ბის განვითარებას ხელს უწყობენ და მეურნეობას
« უყურადღებოდ სტოვებენ. იჩაგრება სხვა ქვეყნე-
« ბის ვაჭრულ ექსპლუატაციის გამო, ბირჟის სპეკუ-
« ლაციების გამო, იმიტომ, რომ მიწის მოვლა და
« სამეურნეო იარაღის გაუმჯობესება მისთვის ძნე-
« ლია და სხვ. და სხვ... ასე რომ, როდესაც ექს-
« პროპრიაციის ძალით გლეხს მიწა მიეცემა და ამ
« მიწას თავის სურვილისამებრ მოიხმარს, როდესაც
« გლეხი იძულებული აღარ იქმნება რენტა გადაიხა-
« დოს, მეურნეობა დროებით სულს მოიბრუნებს,
« ხოლო მალე ისევ ძველ დაჩაგრულ მდგომარეობას
« დაუბრუნდება... მეორეს მხრივ, გადაეცით ხვალ
« ქარხნები მუშათა ხელში... გააუქმეთ ფაბრიკანტე-
« ბი, ხოლო მიწა ბოძეშჩიკების ხელში, ფული ბან-
« კირების ხელში და ბირჟაც მევახშეთა ხელში და-
« სტოვეთ. ერთის სიტყვით, დასტოვეთ უსაქმურ
« ადამიანთა ხროვა, რომელიც მუშის შრომით სცო-
« ცხლობს. დასტოვეთ შუამავლები... და თქვენ ნა-
« ხავთ რომ მრეწველობის მდგომარეობა არ გაუმჯო-
« ბესდება... » (1).

კროპოტკინი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ექს-
პლუატაცია გლეხისა თუ მუშისა ძირიანად მხოლოდ

(1) რუსული თარგმანი „ Хлѣбъ и Воля " — გვ. 58, 59.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ მოისპობა, როდესაც სოფელშიაც, ქალაქშიაც გაუქმდება კერძო საკუთრება, როდესაც მიწა-ქარხანაც და ყოველგვარი საწარმოვო იარაღი მშრომელთა ამხანაგობათ გადაეცემათ. ხოლო მიწის სოციალიზაციას მაინც ფრიად დიდი მნიშვნელობა ექნება, იგი რომ სოციალურ რევოლუციის სრულ გამარჯვებამდინაც მოხდეს. როდესაც მიწა საზოგადოებრივ კუთვდილებად შეიქმნება მიწის მომუშავე ნახევრად განთავისუფლებული ადამიანი გახდება. მიწის კერძო მფლობელობისაგან გამოწვეულ დამონებას და ადამიანის შებოჭვას ძირი გამოეთხრება. ხოლო მიწის სოციალიზაცია დააშურებს კაპიტალის გასაზოგადოებრივებასაც. ამ აზრისაა კროპოტკინიც, რომელიც ამბობს: « ჩვენს საზოგადოებაში ყოველივე ისე ვი-« წროდ არის ერთმანერთში დაკავშირებულა, რომ « ხელს ვერ ახლებთ მეურნეობის (хозяйство) ერთ « რომელსამე დარგს ისე, რომ სხვა დარგებსაც არ « დაეტყოს ცვლილება. მოისპობა თუ არა კერძო « საკუთრება ერთ რომელისამე დარგის ფარგალში — « იგი აუცილებლივ მოისპობა დანარჩენ დარგებ-« შიაც »'ო (იქვე. გვ. 60).

ასე რომ კერძოობითი მოსპობა საკუთრებისა არ უნდა გვაღონებდეს. პირ-იქით, მიწის გასაზოგადოებრივებას აუცილებლივ მოჰყვება საწარმოვო ყველა იარაღის გასაზოგადოებრივება, მას მოჰყვება საზოგადო ექსპროპრიაცია კაპიტალისა და ყველა იმისა, რაც ადამიანთა დასამონავებელ იარაღად არის გამხდარი. და ამრიგად მიწის სოციალიზაცია დასაწყისი გახდება სოციალურ რევოლუციისა, და ამიტომაც ვართ მისი მხურვალე დამცველნი.

* * *

ზემოდ გაკვრით აღვნიშნეთ, რომ შეუძლებლად მიგვაჩნია სოციალიზაციის განხორციელება ლეგალურის

საშუალებით'თქო. ამ საგნის განმარტება არის საჭიროო ამ ჟამად. « ლეგალურ » მოქმედების მომხრენი გვეუბნებიან: მიწის სოციალიზაცია ხომ სოციალიზმი არ არისო, იგი არის მხოლოდ მიწის ინდივიდუალურ მფლობელობის ფორმის შეცვლა. მიწის გასაზოგადოებრივება ჯერ კიდევ არ ნიშნავს შრომის და წარმოების გასაზოგადოებრივებას. მაშასადამე, სოციალიზაციის განხორციელება თვით ბურჟუაზულ საზოგადოებაშია შესაძლებელი. და თუ მაგრეა, რატომ არ გჯერათ, რომ მომავალი დემოკრატული პარლამენტი რუსეთისა, კავკასიისა ან კიდევ საქართველოსი არ მოინდომებს ამ რეფორმის განხორციელებას, თუ კი მართლა აუცილებელი იქმნება იგი ხალხის კეთილდღეობისათვის? რატომ არ გჯერათ, რომ ამ სახით ლეგალურად და არა რევოლუციის საშუალებით იქმნება დაკმაყოფილებული ხალხის საჭიროებაო?

აი რატომ არ გვჯერა. დემოკრატულ პარტამენტში ბურჟუაზულ ელემენტებს უმთავრესი ადგილი უჭირავთ. იმ კვეყნებშიაც კი, სადაც საყოველთაო არჩევების უფლება არსებობს, ხალხის წარმომადგენელნი უმცირესობას შეადგენენ. რა მიზეზი უძევს ამას საფუძვლად? რატომ არის, რომ მუშა და გლეხი ხშირად თავის ექსპლუატატორ მექარხნეს და მემამულეს აძლევს თეთრ კენჭს? ის მიზეზი, რომ იგი ეკონომიურად შებოჭვილია ამ ეკსპლუატატორთა მიერ. მემამულეს და მექარხნეს ხელში ძლიერი იარაღია — მიწა და ქარხანა. თუ გლეხები და მუშები ეწინააღმდეგებიან კაპიტალის მიერ წამოყენებულ « კანდიდატს », თავიანთს წინააღმდეგობის ნაყოფს იმწამსვე ხედავენ. მემამულე ასწევს ხოლმე საიჯარო ფასებს, ან კიდევ სულ უარზე დგას მიწის გაცემაზე. მექარხნე დროებით აჩერებს თავის წარმოებას, ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ჰკეტავს ქარხანას, და ფულს სხვა უფრო
საგებ საქმეში ახმარებს. ორსავე შემთხვევაში
ზე რჩებიან « ურჩი » მუშები და გლეხები. ყოვ-
ლივე ეს, რასაკვირველია, უკანონოა, დემოკრატულ
კონსტიტუციის მიერ დაგმობილია. არა ერთი და
ორი ბრალი და საქმე აღუძრავთ ევროპაში ამ
ბოროტმოქმედების მოსასპობად, მაგრამ კანონი უძ-
ლურია კაპიტალის ძალისა და სიდარიბის სისუსტის
წინაშე. ერთის სიტყვით, როგორც გინდათ გასინჯეთ,
ოთხ დემოკრატულ სახელმწიფოში, სადაც პარლა-
მენტარიზმი უკვე ჭადარამორეულ პოლიტიკურ ინ-
სტიტუტად ითვლება — ინგლისსა, საფრანგეთსა,
ბელგიასა და იტალიაში და სადაც კაპიტალიზმი
ძლიერად არის განვითარებული, სადაც ღარიბ-ღა-
ტაკთა პროცენტი დღითი-დღე იზრდება, ამ სახელ-
მწიფოთა პარლამენტებში მუშათა წარმომადგენელთა
რიცხვი კომიკურია. ინგლისში, კაპიტალიზმის სა-
მშობლოში, სულ ორიოდე წარმომადგენელია მუშა-
კლასისა. ინგლისში ისევ ტრადიციონური (ტორი-
ვიგი) ბურჟუაზული წარმომადგენლობაა გამეფებული.
საფრანგეთში 10 მილიონი პროლეტარიატია და 560
დეპუტატთა რიცხვში 55 სოციალისტია მხოლოდ! გერ-
მანია? გერმანიაში ძლიერ იზრდება მუშათა წარმომა-
დგენლობა. იზრდება, ხოლო, ჩვენის აზრით, ამ ზრდას
თავისი მიზეზიც აქვს, თავისი საზღვარიც ექნება.
გერმანიაში პროლეტარიატი დასაწყისშივე ნახევარ-
აბსოლუტურ წესწყობილებას შეეჯახა. გერმანიაში
ნამდვილი დემოკრატული რეჟიმი არ არსებობს.
ხოლო პროლეტარიატი სათავეში უდგას დემოკრა-
ტულ მოძრაობას. ამიტომ მას ეკედლება ბურჟუაზიის
ნაწილიც, რომელსაც ჰსურს დემოკრატიის განმტკი-
ცება გერმანიაში. პროლეტარიატის კანდიდატებს,
დღე ამრიგად არა-სოციალისტებიც ამლევენ ხმას.

და როდესაც დემოკრატული რეჟიმი განმტკიცდება, ბურჟუაზული ელემენტი აღარ გაუწევს [illegible] ბროლეტარიატს და განმეორდება ის, [illegible] დღეს დემოკრატულ სხვა ქვეყნებში. ე. ი. გერმანიაშიაც, როგორც სხვაგან, ეკონომიური არსებული უთანასწორობა საზღვარს დაუდებს მუშათა დეპუტატების რიცხვის ზრდას პარლამენტში. იქაც, როდესაც ბურჟუაზია მოიპოვებს პოლიტიკურ სრულ უფლებებს და როდესაც შეიგნებს ამასთანავე, რომ მუშათა კლასი ერთად-ერთი მტერია, რომლისაც უნდა ემინოდეს, მთელ თავის ეკონომიურ და პოლიტიკურ ძალას მოიხმარს, რათა ხალხისათვის უმნიშვნელო ჰყოს საყოველთაო საარჩევნო უფლება. ამ გარემოებით აიხსნება, რომ ზოგიერთ კვეყნებში (საფრანგეთსა და ისპანიაში განსაკუთრებით), ზოგიერთი მუშათა ორგანიზაციები (საფრანგეთის სინდიკატები, მაგალითად) განზრახ აღარ იღებენ მონაწილეობას პარლამენტარულ ბრძოლაში და მთელ თავიანთ რევოლუციონურ ენერგიას პირდაპირ ეკონომიურ ხასიათის აგიტაციას ანდომებენ.

ჩვენ არ ვხედავთ არც ერთ საბუთს იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველოსა, კავკასიასა ან მთელ რუსეთში პარლამენტალური რეჟიმი სპვანაირად მოწესრიგდეს. პარლამენტარული რეჟიმი პოლიტიკურ თავისუფლების გარანტიად გახდება. იგი შესძლესს, — ისიც თუ უკიდურესი ელემენტები ძალას დაატანენ — დემოკრატულ ხასიათის რეფორმები განახორციელოს. ხოლო იგი უძლური იქმნება, როგორც ყველგან, სოციალურ ახალ წყობილების დამყარების საქმეში.

კი, მაგრამ, საჭირო არ არის უსათიოდ უმრავლესობა იყოთ, რათა განახორციელოთ მიწის სოციალიზაციის რეფორმა, განაგრძობენ ლეგალისტები.

ხომ ვიცით, რომ მიწის სოციალიზაცია კაპიტალისტურ წარმოებას ძირს არ უთხრის, მაშასადამე, შესაძლებელია განათლებული ბურჟუაზიაც მოძრე გახდეს ამ რეფორმების. ეგ შეუძლებელია. სოციალიზაცია პირდაპირ არ ამყარებს სოციალიზმს, ეგ მართალია, ხოლო ძირს კი უთხრის ბურჟუაზულ რეჟიმს. მიწის სოციალიზაცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოდ, გამოიწვევს ერთის მხრივ, შრომის გასაზოგადოებრივებას სოფელში, მეორეს მხრივ მრეწველობის სოციალიზაციას. იგი დასაწყისია სოციალურ რევოლუციისა. და თქვენ გინდათ ამ საქმეში ბურჟუაზია მოიწვიოთ? არა, პარლამენტი ამ ძირითად რეფორმას ვერ განახორციელებს. მაშასადამე, სხვა საშუალებას უნდა მივმართოთ. ეს საშუალება არის რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ უ რ ი ე ქ ს პ რ ო პ რ ი ა ც ი ა.

* * *

როცა ჩვენ ვამბობთ, მიწა საზოგადოებრივი საკუთრება უნდა გახდეს'თქო, ჩვენ ვგულისხმობთ მთელ მიწას, ტყეს და ყოველსავე სიმდიდრეს, რომელიც მიწაშია ჩამარხული. ჩვენ ვგულისხმობთ აგრეთვე მიწას, რომელზედაც ქალაქებია გაშენებული. მაგრამ ვიცით, რომ ამ მიწის თითქმის 3/4 დღეს მესაკუთრეთა ხელშია. ხოლო დიდ და საშუალო სივრცის საკუთრებას აქ პირველი ადგილი უჭირავს. წვრილ მესაკუთრეთა ხელში კი მიწის უმცირესი ნაწილია. რანაირად უნდა მოხდეს ახლა ამ მიწების გასაზოგადოებრივება? რადგან ლეგალურის საშუალებით, როგორც ზემოდ განვმარტეთ, იგი ვერ მოხდება, აშკარაა ძალდატანებით უნდა მოხდეს. მაშ ვის უნდა ჩამოერთვას მამული? ყველა მესაკუთრეს, თუ მარტო დიდ და საშუალო ნარისხისას? ჩვენის აზრით, უნდა ჩამოერთვას (სოფელში) იმ სხვილ და საშუალო

ხარისხის მემამულეთ, რომელთაც მოჯამაგირენი ჰყავსთ და თავიანთ მიწას დაქირავებულ შრომით ამუშავებენ. ხოლო წვრილ მესაკუთრეს ხელი არ უნდა ვახლოთ, რადგან იგი არამც თუ არავის სჩაგრავს დაქირავების ან სხვა რაიმე საშუალებით, არამედ თითონ არის დაჩაგრული მევახშისა და სხვილ მემამულისაგან. წვრილი მესაკუთრე, როდესაც მის გარეშემო მიწა გასაზოგადოებრივებული იქმნება, დარწმუნდება, რომ მისი ინტერესიც მოითხოვს საერთო მოძრაობას ფეხი ააყოლოს. და რაკი ნახავს, რომ საზოგადოებრივი მფლობელობა, რომელსაც საზოგადოებრივი წარმოებაც მოჰყვება, მეტ ხეირს და კმაყოფილებას აძლევს კერძოდ იმას და მთელ საზოგადოებას, უარჰყოფს საკუთრების პრინციპს.

რაიც შეეხება იმ მემამულეთ, რომელთაც ჩამოერთმევათ საკუთრება, რანაირად მოექცევა საზოგადოება, უზღავს მათ თუ არა? ს.-დემოკრატები (მარქსი, კაუცკი და სხვანი) იმ აზრისანი არიან, რომ სოციალურ რევოლუციის დროს მესაკუთრეთ უნდა უზღან წართმეული მამული ან კაპიტალი. « პროლეტარიატის რეჟიმი, — ამბობს კაუცკი, — ეცდება საზღაურის გზა აირჩიოს »'ო (1).

მაგრამ აბა დააკვირდით, რა შედეგი მოჰყვება ამ გარემოებას, მიწის ჩამოერთმევის დროს რომ საზღაურზე ჩამოვარდეს ლაპარაკი. ხალხმა უნდა საზოგადოებრივ კუთვნილებად გახადოს არამც თუ კერძო მემამულეთა მიწა, არამედ სახელმწიფო, საეკლესიო და საუფლისწულოც. ამ მიწების პატრონნი რომ ფულით დააკმაყოფილოს, საჭირო იქმნება ფრიად დიდი თანხა. ხალხს ეს თანხა არა აქვს. და მის შოვნისათვის ან სახელმწიფოს ან კერძო ბანკირებს უნდა

(1) Соц. Рев. Конфискація или выкупъ? Ст. 100.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჰმართოს. ამგვარ საქმისათვის რომ ასესხონ კიდევანც ფული (რაიც საეჭვოა) ამნაირ ხესხის შედეგი ის იქმნება, რომ ხელმეორედ დაწესდება « ერთგებითი ვალდებულება » ; გლეხი კრედიტორის ხელში ჩავარდება და სანამ თავნს სარგებლიანად არ გადიხდის მისი ყურმოჭრილი ყმა იქმნება, და ამრიგად, სოციალიზაცია თავის მიზანს ვერ მიაღწევს და გლეხს დამონებისგან ვერ გამოიყვანს. ასე რომ საზღაურზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, თუ გვინდა, რომ სოციალიზაციამ რაიმე ნაყოფი გამოიღოს.

მამ რა ჰქნან მათ, ვისაც ჩამოართმევთ მამულს ? ზოგს შვილი ჰყავს აღსაზრდელი, ზოგს ავადმყოფი ჰყავს, ზოგი სიბერისგან ვერ მუშაობს, ზოგი მუშაობას არ არის დაჩვეული და « ინტელექტუალური » მოთხოვნილებანი აქვს განვითარებული. ამ უკანასკნელისათვის ლიტერატურა, თეატრი, მუსიკა არის საჭირო. ნუ თუ ყველაფერზე ხელი აიღოს და ხელები მიწის თხრაში ითხუპნოს ?

რაიც შეეხება აღზრდას, ავადიყოფებს და მოხუცთ მათ არავითარი ხიფათი არ მოელისთ. სოციალიზმის ძლიერება იმაშია, რომ იგი ჰუმანიურ და სამართლიანობის ნიადაგიდამ არის აღმოცენებული. ვინც მოვლას და მფარველობას ჰსაჭიროებს, ალალბედზე არ დარჩება. სოციალიზმი ექსპლუატატორებს, ხალხის მჩაგვრელებს ემუქრება და ომს უცხადებს ; ბავშვებს, ავადმყოფებს და ბებრებს კი, თუნდაც ისინი ბურჟუაზულ და თავად-აზნაურულ წრიდამ იყვნენ, აღზრდის, მოუვლის და შეინახავს. ხოლო მუქთა მჭამელთა ეპიკურობის მიმდევრებისა კი რა მოგაზსენოთ... მათ მშვენივრება სწყურიათ, მათი ყური სიმფონიურ ჰანგებს არის მიჩვეული, მათ პოლიტიკაზე და ლიტერატურაზე უყვარსთ სჯა-ბაასი თავის წრის ჯენტელმენებთან, ისინი კარგად სჭამენ, კარგად

სვამენ, კარგად იცვამენ და უსაქმურად დაეხეტებიან. ამგვარ « ჯენტელმენების » შენახვას, რასაკვირველია, საზოგადოება არ იკისრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *
*

ამრიგად ჩვენ მივედით უკანასკნელ დასკვნამდე. და ახლა მეტი არ იქმნება მოკლედ აღვნუსხოთ ამ ბრიშურის შინაარსი, რათა უფრო ნათელ ვყოთ მკითხველისათვის, თუ რა ხასიათის აგრარულ ბრიგრამას ვადგივართ და რანაირად უნდა გადაწყდეს მიწის მფლობელობის კითხვა ჩვენში.

ჩვენ აღვნიშნეთ შემდეგი. სოფელში სხვა და სხვა შემლების მესაკუთრეთა შორის ქიშპობა და უთანხმოება. ქიშპობა არსებობს არა მარტო გლეხთა და თავად-აზნაურთა შორის, არამედ სხვა და სხვა შემლების გლეხთა შორისაც. ამ უთანხმოებისა და ქიშპობის გამო გლეხობის ის ნაწილი იჩაგრება რომელიც თავის მარჯვენით ამუშავებს მიწას და რომელიც ბევრ მიზეზთა და განსაკუთრებით კი მიწის სივიწროვის გამო სიღარიბეშია ჩავარდნილი და ამიტომ საშუალო და სხვილ მემამულეთა გამუდმებულ დამოკიდებულებაშია. ჩვენ ხელს ვუწყვდით და ვეხმარებით სოფელში მხოლოდ ამ კატეგორიის გლეხობას და ვეუბნებით მათ. თქვენი მდგომარეობა გამოკეთდება მხოლოდ მაშინ, თქვენს დაჩაგვრას მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო, როდესაც სოფელში მოისპობა თვით მთავარი მიზეზი დამონებისა, ე. ი. როდესაც მიწა კერძო საკუთრების კუთვნილებად აღარ იქმნება და როდესაც იგი სოფლის საზოგადოებათა გადაეცემათ. სანამ ეს მთავარი მიზეზი თქვენის დამონებისა არ მოისპობა, უკეთეს ბედის იმედი ნუ გაქვსთ. ზოგიერთი თქვენი ვითომდა « კეთილისმოსურნენი » გარწმუნებენ : ჯერ ბატონყმობიდამ დარჩენილი წე-

ხები გააუქმეთ, ეცადეთ მოიჯარადრეობის პირობები გააუმჯობესოთ, ეცადეთ დაიბრუნოთ « ჩამონაჭრები » და დაიმკვიდროთ ნადელები საკუთრებადაც. მაგრამ თქვენ ამითი არ უნდა დასჯერდეთ. ეჭვი არ არის, რომ ყველა ამას მოიბოვეთ, მემამულენი და სახელმწიფო თქვენის ერთობის წინაშე ბრძოლას ვერ გაგიწევენ. მხოლოდ ნუ გეგონოთ, რომ ყოველივე ამის მოპოება ბედნიერებას დაამყარებს თქვენს შორის. ბატონყმობის ნაშთების გაუქმება ძარცვაგლეჯის გაუქმებას არ ნიშნავს. თქვენი გაჭირვება ერთის მხრივ შემცირდება და მეორეს მხრივ გამლიერდება. ეხლა თუ ფეოდალების კლანჭებში ხართ შებოჭილი, ბატონყმურ წესების მოსპობის შემდეგ ფულიან ხალხის, ბურჟუაზიის მონობაში ჩავარდებით და იცოდეთ კაპიტალის და ფულის უღელი ბატონყმურ უღელზე ნაკლებად შემხუთველი არ არის.

მაშ რაკი ეს ასეა, თქვენ ეხლავე უნდა ეცადნეთ ძირი გამოუთხაროთ არამც თუ ძველ წესს, არამედ ბურჟუაზულ წყობილებასაც. ზოგი გეტყვით, სოფელი და გლეხობა უძლურია ამგვარი საქმე იკისროს. სოფელში რომ გაუქმდეს კიდევაც კერძო საკუთრება და მიწა საზოგადოებრივ კუთვნილებად გახდეს, ამითი ჯერ კიდევ არ მოისპობა გლეხების ექსპლუატაცია, რადგან ისინი მექარხნეების და საზოგადოდ კაპიტალის დამოკიდებულებაში დარჩებიანო. სრული ჭეშმარიტებაა. მაგრამ სწორედ ეს ჭეშმარიტება გვავალებს რაც შეიძლება მალე მოვახდინოთ სოფელში მიწის სოციალიზაციაცია. გვავალებს ძმური კავშირი და სოლიდარობა ვიქონიოთ ქალაქის მუშებთან, პროლეტარიატთან, რათა საერთო ძალღონით იერიში მივიტანოთ მთელ თანამედროვე წყობილების წინააღმდეგ. მიწის სოციალიზაცია, სოფელში კერძო საკუთრების გაუქმება დააჩქარებს სოციალურ რევოლუ-

ციის მოახლოვებას, და ჩვენს საერთო იერიშსაც მთელ წყობილების წინიაღმდეგ მიტანილს მეტს [illegible] ცემს. საქმე ის არის, რომ ხალხის ეკონომიური ცხოვრება ერთ მთელს წარმოადგენს. შეარყიეთ ამ ცხოვრების საფუძველი მეურნეობის ერთ ნაწილში და თქვენ დაინახავთ როგორ დაბარბაცდება მთელი შენობა და როგორც იგრიალებს დამპალ კოჭებზე აგებული წყობილება.

მაშ ამ მხრივ ფიქრი ნუ გაქვსთ. მხნედ განაგრძეთ დაწყობილი საქმე. სოლიდარულის და რევოლუციონურის მოქმედებით გამოაცხადეთ თქვენი სურვილი მიწის გასაზოგადოებრივების შესახებ. საზოგადო კუთვნილებად უნდა შეიქმნეს სახაზინო, საუფლისწულო, საეკლესიო და საბატონო მიწა. მიწა ძალით უნდა ჩამოერთვას მხოლოდ იმას, ვინც თავის ხელით არ ამუშავებს მას, დალას და რენტას იღებს, ვისაც ჰყავს მოჯამაგირენი, ან მოხელენი მუშაობისათვის და დალის ასაკრებად. წვრილ მესაკუთრე გლეხობას ძალით არ უნდა ჩამოერთვას მიწა. ისინი არავის არ სჩაგრავენ და არ აწუხებენ. ხოლო როცა დაინახავენ საზოგადო მფლობელობის სარგებლობას, თითონ შეუერთდებიან სოფელს და თავიანთ მიწასაც საზოგადო მიწას მიუკედლებენ. ეს პროცესი აუცილებლივ მოხდება, რადგან მიწის სოციალიზაცია შრომის სოციალიზაციის ნიადაგად შეიქმნება. და გასაზოგადოებრივებულ შრომის და წარმოების უპირატესობა ინდივიდუალურ შრომასა და წარმოებასთან შედარებით ხომ ისეთი აშკარა იქმნება, რომ წვრილ მესაკთთრის პირდაპირი ინტერესი იქმნება საზოგადო მოძრაობას ფეხი აყოლოს.

ზოგი გეტყვისთ : მიწის ექსპროპრიაცია ხომ უსამართლობას გამოიწვევს, ულუკმაპურად დააგდებს ეხლანდელ მესაკუთრეებსო. მაგრამ ეს მოსაზრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმნიშვნელოა. უსამართლობა ეხლა არსებობს. ხალხს არაფერი აბადია, სხვა კლასების წარმომადგენელნი კი ზოგიერთს ძლიერ ბევრი და უმრავლესობას ნაკლები. დენი მაინც, რომ თავისთვის უშრომლოდ და გაურჯელად სცხოვრობს. უსამმრთლობა აი სწორედ აქ არის. და ჩვენ გვინდა, რომ ყველას ჰქონდეს სამყოფი, რომ ყველამ დაიკმაყოფილოს თავისი უსაჭიროესი მოთხოვნილებანი. ნამდვილი სამართლიანობა სწორედ ეს არის. ყველამ უნდა იშრომოს, ყველამ უნდა შეიტანოს საზოგადო შრომაში თავისი წვლილი და არავის არაფერი არ დააკლდება. ხოლო მუქთა ხრეს შენახვა კი არავისთვის სავალდებულო არ უნდა იყოს. ასე რომ ცრუ-ზნეობრივ ხასიათის საბუთებს თქვენთვის არავითარი ფასი არ უნდა ჰქონდეს. მაშ მხნედ, მეგობრებო! თუ დაუჯერებთ იმათ, ვინც « მშვიდობიანობის » ჩამოგდების საჭიროების დამყარებას გიქადაგებსთ! გაჩუმებამ და სიმშვიდემ მოსობამდის მიიყვანა ხალხი და ეხლა, როდესაც ხალხი ამოძრავდა, შეიგნო თავისი უფლება და ძალა, ეხლა დაწყნარების და დამშვიდების ქადაგება ხალხის მოდალატეობად უნდა ჩაითვალოს ბრძოლა, ბრძოლა სრულ გამარჯვებამდის! — აი ჩვენი მისწრაფება და სურვილი!

ამბორი 1905 წ. ბაკინი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი : 50 სანტიმი — 20 კაპეიკი.